# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 8 ივნისი 2007 №129 (3052) ფასი 50 თეთრი




## საქართველოს არ ჰყავს პენსიონერთა ნაკრები

შოთა არველაძე წავიდა და რა გვეშველებაო? ნუ ფიქრობთ ასე!

3

# უჩვეულო პრესი

## ფრანგებმა ფრანგს გერმანელით შეუტიეს





# ბაიერნის ჩვენი მეტოქეები: ლუკა ტონი და ფრანკ რიბერი




გუშინ მიუნხენელები იტალიელი და ფრანგი ვარსკვლავებით გაძლიერდნენ

AFP



AFP

# სუსტი სქესის ძლიერი სახეები

## წითელი ფინალი: ივანოვიჩი — ენენი

პარიზში, „როლან გაროსის" წითელ თიხნარზე მიმდინარე სეზონის მეორე სლემტურნირზე გუშინ ფინალისტ ქალთა ვინაობა გაირკვა.

ნახევარფინალებში ბრძოლა არ შედგა. ორი ლამაზმანის — შავგვრემანი სერბის ანა ივანოვიჩისა და ქერა რუსის მარია შარაპოვას შეხვედრა საათზე ოდნავ მეტხანს გაგრძელდა და ივანოვიჩის ზეობით დასრულდა — 6:2 6:1.

ერთი გეიმით მეტი ითამაშეს ბელგიელმა ჟუსტინ ენინმა და ივანოვიჩის თანამემამულე ელენა იანკოვიჩმა. ენინმა, ვისაც 2005 წლიდან მოყოლებული „როლან გაროსზე" სეტიც კი არ წაუგია, სერბული ფინალის ალბათობა ჩანასახშივე მოსპო, მეტოქეს 6:2 6:2 გადაუარა და ძალუმად გაიწია ზედიზედ მესამე, კარიერაში კი მეოთხე პარიზული ტრიუმფისკენ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# სულ სხვა ქვეყანა

## ფრანგული გაზეთები დომენეკს უტევენ და ტოპმიოლერს აქებენ



კობა ინასარიძე
პარიზიდან

L'ÉQUIPE
leprogres
FRANCE Football
LaTribune
MAXIFOOT
football.fr

**საქართველოს** ნაკრებმა კიდევ ერთი თამაში ჩაატარა და, სამწუხაროდ, ისევ წააგო.

ამ მატჩის თაობაზე მსჯელობას ალბათ ისევ მივუბრუნდებით, დღეს კი იმას გეტყვით, რა დაწერეს თამაშის მეორე დღეს ფრანგულმა გაზეთებმა.

აქაურები კმაყოფილნი არიან, ამ მოგებით ჯგუფიდან გასვლა პრაქტიკულად გავინაღდეთ და ახლა ფეხბურთელებს მშვიდად დასვენება შეუძლიათო. წერენ, თამაში ძალიან მძიმე გამოდგა, მაგრამ ფრანგთა გამარჯვება დამსახურებული რომ იყო, ეჭვი არავის შეუტანია.

მაგრამ თავად თამაშით აქაური ჟურნალისტები სულაც არ არიან აღფრთოვანებულები და რაიმონ დომენეკსაც მაგრად აკრიტიკებენ, მისმა გუნდმა ერთზე მეტი გოლი რომ ვერ გაიტანა. დიდი შანსი იყო, ქართველებს საპასუხო გოლი შეეგდოთ, რაც საქმეს ძალიან გაგვირთულებდაო.

ჩვენთვის ყველაზე საინტერესო კი, რა თქმა უნდა, ის არის, ფრანგები საქართველოს ნაკრების თამაშს როგორ აფასებენ. საპასუხო გოლის გატანის ალბათობაზე უკვე მოგახსენეთ. სხვას კი იმას წერენ, ყველანი იოლ გამარჯვებას ველოდით, ქართველებისგან ასეთ წინააღმდეგობას კი — ნაღდად არაო. ფრანგთა აზრით, საქართველო აშკარად უკრაინაზე ძლიერი გუნდია...

ჩვენი ფეხბურთელებიდან კი აქაურებს ყველაზე მეტად კახა კალაძე და გიორგი ლომაია მოეწონათ, რაც გასაკვირი სულაც არ არის. ლომაიაზე ასეთ რამესაც წერენ: ქართველი მეკარის თამაში იმიტომაც იყო გამორჩეული, რომ კალაძის გარდა ხეირიანად ვერც ერთი მცველი ვერ ეხმარებოდაო. დაგვეთანხმებით, ამ ფრაზაში ჩვენი მეკარის შექების გარდა, საქართველოს ნაკრების მცველთა კრიტიკაცაა.

კლაუს ტოპმიოლერს კი ფრანგები ტაქტიკას უქებენ და ამბობენ, რაც გაახერხა, იმაზე მეტს განახევრებული შემადგენლობით ვერც ერთი მწვრთნელი ვერ შეძლებდაო. მაგალითად, „ეკიპის“ მიმომხილველი წერს, საქართველოს ძალიან ბევრი ფეხბურთელი აკლდა და ტოპმიოლერმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო, დაცვითი ტაქტიკა რომ აირჩიაო. იმასაც ვარაუდობენ, შემადგენლობაში პრობლემები რომ არ ჰქონოდა, უფრო შემტევ ფეხბურთს ათამაშებდა და უფრო მეტი პრობლემა შეგვექმნებოდაო.

აი, სულ ეს არის, საქართველოს ნაკრების თამაშს რაც შეეხება, რადგან ფრანგებს, ბუნებრივია, თავისი გუნდი უფრო აინტერესებთ და ჩანს, დომენეკს მშვიდი დღეები სულაც არ ელის...

# გერმანელი მეკარე და ბრაზილიელი ფორვარდი თბილისის დინამოში?

**თბილისის** „დინამო“ საახალსეზონო მზადებას 13 ივნისს დაიწყებს. გუნდი დიღმის საწვრთნელ ბაზაზე შეიკრიბება, 16-ში ბაკურიანში გაემგზავრება, 25-ში კი გერმანიაში, სადაც რამდენიმე ტესტ-მატჩს გამართავს.

როგორც შევიტყვეთ, „დინამო“ ლეგიონერებით აპირებს გაძლიერებას, კერძოდ, გერმანელი მეკარე და ბრაზილიელი თავდამსხმელი უნდა შეუერთდეს.

„გუნდი რომ გაძლიერდება, ფაქტია. ყოველ შემთხვევაში, ტესტებში რამდენიმე ფეხბურთელი გაისინჯება. კონკრეტული გვარ-სახელები და წარმომავლობა კი ჯერჯერობით უცნობია“ — გვითხრა გუშინ „დინამოს“ პრესსამსახურის უფროსმა გიგა გვენცაძემ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

**ბელგია**

გადასასვლელი პლეი ოფი
IV ტური

ლიერსი 1:2 მეხელენი
კორტრაიკი 0:2 ანტვერპენი

**პოლონეთი**

ლიგის თასი. 1/2 ფინალი
საპასუხო მატჩები

ვროცლინი 5:0 ლეჩნა (2:3)
ბელხატოვი 2:0 ვისლა (1:0)

**ნორვეგია**

I დივიზიონი. IX ტური

ბოდიო გლიმტი 1:2 მიოლდე
ჰიონეფოსი 0:1 მოსი

**შვედეთი**

სუპერეტა
IX ტური

ნორჩიოპინგი 5:0 სუნდსვალი



# საქეიფო კი არა, უქეიფო კაცის აზრები საქეიფო კი არა, უქეიფო ნაკრებზე

**საფრანგეთისა** და საქართველოს თამაში რომ დამთავრდა, ერთი ძალიან უცნაური რამ მოხდა: ქართველ კაცს ქეიფი კი არ მომინდა, რამდენიმე აზრი და მათი თქვენთვის გაზიარების სურვილი გამიჩნდა. ნუ, ქართველ კაცს ქეიფი რომ არ მომინდა, მართლა ძალიან დამაფიქრებელია, მაგრამ ამ ურთულეს თემას ახლა არ შევეხები, აზრებს კი მოგახსენებთ, ოღონდ... მათ ერთმანეთს ისე ვერ მივაბამ, ნაკერი რომ არ დააჩნდეს — მეტად აღელვებული გახლავართ.

ასე რამ აგაღელვა შე კაცოო, შეიცხადებს მოკეთე. რამ და, თამაშის მეორე დილით მანქანას „ნიჟნი შარავოი“ გაუფუჭდა, რის გამოც ელიავას ბაზრობასა და პროფილაქტიკაში მომიხდა სირბილი, თორემ სალამოობით ჩვენები რომ აგებენ, მიჩვეული ვარ. ერთი სიტყვით, გეგმები დილიდანვე ამერია და აზრებსაც ამიტომ ვერ ვამონტაჟებ კარგად...

მოკლედ, თუ ნებას მომცემთ, მათ ცალ-ცალკე ჩამოგითვლით. ვფიქრობ, თვალისთვისაც ასე უფრო იოლია.

### აზრი პირველი

საფრანგეთისა და საქართველოს შეხვედრაში ყველაზე კარგი აი, რა მოხდა: „რუსთავი 2-ზე“ მატჩის რეპორტაჟი დიმა ობოლაძესთან ერთად შოთა არველაძემ წაიყვანა. არ დაგიმალავთ და, დიდი ხანია, ფეხბურთელის თვალით მინდოდა თამაშის დანახვა, ოღონდ ასე კი არა: „ნწ... ეეე... ნუ, ბიჭები უტევენ, რა...“, არამედ გააზრებულად. შოთამ სწორედ ასეთი ხედვა შემოგვთავაზა, რისთვისაც დიდი მადლობა მას და დიდი მადლობა მისი მიწვევისთვის დიმას. სხვა თუ არაფერი, ის მაინც გავიგე, ქართველს თავის ზონაში შესული მეტოქე რომ არ აჰყავს და ბურთს კარში თავისუფლად რომ არტყმევინებს, შოთა არველაძისთვისაც (ანუ ნამდვილი პროფესიონალისთვისაც) ისევე გაუგებარი ყოფილა, როგორც ჩემთვის, თორემ აქამდე მეგონა, რომ ფეხბურთელებს რაღაც სხვა ლოგიკა ჰქონდათ.

არ დაგიმალავთ, ძალიან გამიხარდა, არველაძის ბევრი შეხედულება ჩემს გარედან ჩამოყალიბებულ მოსაზრებას რომ დაემთხვა, ხოლო რაც სპეციფიკური და პროფესიული იყო, სიამოვნებით მოვისმინე.

### აზრი მეორე: მატროსოვი

მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა ასეთი კაცი, ალექსანდრ მატვეევიჩ მატროსოვი, რომელიც 1943 წელს ფსკოვთან გერმანელების ტყვიამფრქვევს მიეპარა, ლულას გადაეფარა და ამით თანამებრძოლები გადაარჩინა. კაცი რა, 19 წლის ბიჭი იყო.

ახლა მე გეკითხებით, რატომ არ შეიძლება, 19 წლისა და მეტის ქართველმა ბიჭებმა ბურთს შეუშვირონ თავიანთი პატივცემული სხეული? ეტკინებათ, თუ ვერ ხვდებიან, რომ თუ ბურთი მათ მოხვდებათ, კარში აღარ შევა?

წარმოიდგინეთ, მეტოქე, რომელიც საქართველოს ნაკრების საჯარიმოს უახლოვდება, უახლოვდება, უახლოვდება, მიზანს ისწორებს, ისწორებს, ისწორებს და მთელი ამ ხნის განმავლობაში მისგან სამ-ხუთ მეტრში მდგომი გურჯი ფეხბურთელი გაუნძრევლად დგას, ნაბიჯს არ დგამს „ტყვიამფრქვევისკენ“.

მაგიდის ფეხბურთი ხომ გითამაშიათ? აი, ის, რკინის ფეხბურთელები მოედანში ჩარჭობილები რომ არიან და ბურთი თუ მიუვიდათ, რომ უნდა ამოსცხონ. აი, ასეა ჩვენი საქმე. ჩვენი თერთმეტეული ჩარჭობილია, იმათი მოქმედებს.

### აზრი მესამე – ბედი

არ დაგიმალავთ და, ბოლო წლებია, ბედს ვეჩხუბები. ჩემი ძირითადი პრეტენზია ასეთია: რა მოხდება, ძვირფასო ბედო, ერთხელ რომ შემთხვევითი გოლი ჩვენს კარში კი არა, მეტოქისაში გავიდეს და მათ კი არა, ჩვენ მოვიგოთ?

ოთხშაბათს ოსერიდან ბედმა ასეთი პასუხი შემომითვალა — თუნდაც შემთხვევითი გოლის გასატანად საჭიროა, ბურთი რამენაირად იქითა საჯარიმოსთან მიიტანოთ, თორემ, ფიზიკურად არ ვარსებობ და მეტოქის კარის აქეთ მორთმევა მიჭირსო. რას ეტყვი, მართალია კაცი...

ისე კი, ოდესღაც საქართველოში ფეხბურთს კარგად რომ თამაშობდნენ, ბასა ლოლობერიძის დროს, მგონი, ვიღაცამ განსაზღვრა, ანტიფეხბურთი უხეშობით თავდაცვას ეწოდებაო. კი მაგრამ, რატომ მარტო უხეშობით? ანტიფეხბურთი ეწოდება ყველაფერს, რაც ფეხბურთის არსს ეწინააღმდეგება. ის, რაც საქართველოს ნაკრებმა ოსერში ითამაშა, ანტიფეხბურთის კლასიკური მაგალითი გახლდათ.

### აზრი მეოთხე, ანუ ფაქტი

ტოპმიოლერმა კიდევ წააგო.

### აზრი მეხუთე, ანუ ისევ ფაქტი

ტოპმიოლერს ძლიერი მეტოქეები შეხვდა და ბედმა არა და არ მისცა საუკეთესო შემადგენლობით თამაშის საშუალება, მაგრამ, როგორც კი ამ წინადადებას ჩაამთავრებთ, გთხოვთ, ერთხელაც გადაიკითხეთ აზრი მეოთხე.

### აზრი მეექვსე და ბოლო

ალბათ, რა საშინელებაა, კახა კალაძე რომ ხარ, ჩემპიონთა თასი ორჯერ მოგიგია, კაკას მხარდამხარ თამაშობ, თავისი ჩელენტანოებით და ჯორჯო არმანებით სრულიად მილანის საზოგადოება გიცნობს, შენ კი ისევ და ისევ აგებ, რადგან...

დანარჩენი თქვენ დაამატეთ...

**პაპუნა ძიძია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს არ ჰყავს პენსიონერთა ნაკრები

## შოთა არველაძე წავიდა და რაღა გვეშველებაო? ნუ ფიქრობთ ასე!



**მძლავრი სეზონი 34 წლის ასაკში, თანაც, თავდამსხმელისთვის — ამას ერთეულები ახერხებენ და შოთა არველაძეც ასეთია. საქართველოს ნაკრებისა და ჰოლანდიური „ალკმაარის“ გოლდამშენი რამდენიმე დღე თბილისში გახლდათ, გუშინღამ კი ამსტერდამში გაფრინდა, საიდანაც ლისაბონში ჩავა და კახა კალაძესთან ერთად, მსოფლიო ფეხბურთის ვარსკვლავებით გაძეძგილ საქველმოქმედო მატჩში ითამაშებს — კაკა, რონალდინიო, კრიშტიანუ რონალდუ, რონალდო, კახა, შოთა... შოთას თავიდან ვარსკვლავურ მატჩზე, მერე კი, ცხადია, სამომავლო გეგმებსა და საქართველოს ნაკრების ლიტვა-საფრანგეთთან ნაგებულ თამაშებზე ვკითხეთ...**

— მსოფლიო ვარსკვლავების გვერდით ადრეც გითამაშია. როგორი შეგრძნებაა?

— სასიამოვნოა, როცა გახედავ ტრიბუნებს, მერე მინდორს, ტაშთან და ოვაციებთან ერთად კი რონალდინიოს, კაკას და სხვებს ხედავ და მათთან აგორებ ბურთს. ასეთი მატჩები ყოველთვის საინტერესოა და ბედნიერი ხარ, რომ ამ შოუში სტუმრად შენც მიგიწვიეს.

— მომავალზე რა გადაწყვიტე, რჩები „ალკმაარში“?

— ჯერ საბოლოოდ არ გადამიწყვეტია. ერთი წლით დამრჩა კონტრაქტი, რომელიც შემიძლია გავწყვიტო, მაგრამ ვნახოთ...

— საქართველოს ნაკრებში ბოლო მატჩის ჩატარება თბილისში მსურსო, ადრე გვითხარი. ამაზე უკვე ელაპარაკე კლაუს ტოპმიოლერს?

— დიახ. ცხადია, არ არის აუცილებელი, მაინცდამაინც ოფიციალური მატჩი იყოს. შესაძლოა, ამხანაგურში ვითამაშო და გულშემატკივრებს ასე გამოვეთხოვო.

— ახლა ნაკრების ბოლო ორ წაგებაზეც ვთქვათ და ლიტვით დავიწყოთ. საერთო აზრით, თითქოს წასაგები თამაში არ იყო, მაგრამ...

— ჩემგან ძნელია ამაზე ლაპარაკი, რადგან კრიტიკული ვერ ვიქნები, თუმცა უთქმელობაც არ ივარგებს. ნაკრებს ამაზე ბევრად უკეთ უთამაშია, მეტოქისთვის უჯობნია და მაინც წაუგია, ასე რომ, იმ წაგებებზე უფრო მწყდება გული — ლიტვასთან კი მოგების ღირსნი ვიყავითო, ვერ ვიტყვი. გასაგებია, რომ მსაჯმა 0:0-ზე პენალტი არ მოგვცა, მაგრამ თამაშის ხარისხი უკეთესის სურვილს ტოვებდა.

— ლიტვასთან არ გამოჩნდა, ნაკრებს ცენტრფორვარდი რომ აკლდა?

— კი. სამწუხაროდ, დავით სირაძე არ გვყავდა. ლევან მჭედლიძის თამაში არ მინახავს, მაგრამ ძალიან აქებენ და იმედია, გაამართლებს. დარწმუნებული ვარ, ხვალზეგ სანდრო იაშვილიც გამოჩნდება ნაკრებში. შოთა არველაძე წავიდა და რაღა გვეშველებაო, ასე არ უნდა იდგეს საკითხი — თავის დროზე ყიფიანი და ჩივაძე წავიდნენ, მაგრამ სხვები გამოჩნდნენ. თაობათა ცვლის პროცესი ასეა, მაგრამ ისიცაა, რომ თავდამსხმელის შეცვლა უფრო ძნელია, სპეციფიკური საქმეა.

— საფრანგეთთან კი ძალიან ჩაკეტილები ვიყავით დაცვაში და შეტევითი პოტენციალი საერთოდ არ იგრძნობოდა. ალექსანდრე იაშვილი ძალიან იშვიათად იღებდა ბურთს...

— საფრანგეთში ნაკრებს თოთხმეტი კაცილა ჰყავდა დარჩენილი, რომელთაგან მხოლოდ ორი იყო წინახაზელი და სხვანაირ თამაშს არც ველოდი. თანაც, იაშვილის კოზირი სისწრაფე არ არის, ის უკანდაწეული ფორვარდია, სიღრმიდან თამაში და პასები უფრო ეხერხება.

— ისე ჩანდა, თითქოს საფრანგეთი მაინცდამაინც არ იწევდა მეორე გოლის გასატანად...

— ასე ვერ ვიტყვი, 1:0 სახიფათო ანგარიშია და ერთი ბრმა გოლი უკვე წყალში ყრის ყველაფერს. უბრალოდ, ფრანგები ვერ იყვნენ მთლად იდეალურ ფორმაში, ანელკა ბევრს ვერაფერს აკეთებდა... საერთოდაც, საფრანგეთი ინგლისის დარად გიჟური ტემპით და აგრესიით არ თამაშობს ხოლმე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კონცენტრაცია აკლია.

— და ერთიც: როგორ ფიქრობ, ნაკრებში ამ შესარჩევ ციკლშივე უნდა მოხდეს თაობათა ცვლის პროცესი, რათა 2010 წლის შესარჩევს ახალგაზრდები უფრო გამოცდილები შეხვდნენ?

— არ მესმის, ნაკრების ძალით გაახალგაზრდავება რას ნიშნავს. ახალგაზრდა მაშინ უნდა დააწინაურო ნაკრებში, თუ საამისოდ მზადაა. შეიძლება, ნაკლებად პრინციპულ მატჩში 10-15 წუთით შეიყვანო, გუნდს შეაჩვიო ან შეკრებებზე წაიყვანო და ატმოსფეროს შეაგუო. აბა, 17-წლამდელთა ნაკრებიდან ვინმე მოგეწონოს და ეგრევე ეროვნულის ძირითადში გააქანო, ეს მიუღებელია. თანაც, რომელი პენსიონერთა ნაკრები საქართველოს ჰყავს — მე აღარ ვითვლები, ყველაზე უფროსი ფეხბურთელი კი 29 წლისაა. ჩვენი ნაკრების საშუალო ასაკი 23-24 წელია...

**ილია ნანობაშვილი**

# გახდება გიგიაძე დემეტრაძე?

## დასვენებული ვასო შტურმისთვის ემზადება




**ვასილ გიგიაძეს** უკრაინის ჩემპიონატში 151 მატჩი აქვს ჩატარებული და 53 გოლი გატანილი. მიმდინარე სეზონში ჩვენებურს ძალიან კარგი შანსი აქვს, უკრაინის ჩემპიონატის ბომბარდირი გახდეს და გიორგი დემეტრაძის მიღწევა გაიმეოროს. ჯერჯერობით გიგიაძის მარაგში 11 ბურთია და ხარკოველ ალექსანდრ გლადკისთან ერთად ლიდერობს ბომბარდირებს. მათ თითო ბურთით ჩამორჩებიან კარპატელი ბატისტა და „დნიპროს“ ნახევარმცველი სერგეი ნაზარენკო.

გიგიაძეს კარგი შანსი ჰქონდა, უპირატესობა გაეზარდა, მაგრამ უკვე ორი თვეა, გოლი არ გაუტანია, „ტავრიასთან“ და „დნიპროსთან“ კი საერთოდ არ უთამაშია.

„გუნდმა ამ სეზონში თავისი საქმე გააკეთა. ევროტურნირების შანსი არ იყო, აღარც უმაღლესიდან გავარდნა გვემუქრება და ამიტომ მწვრთნელმა გადაწყვიტა, შანსი სხვა ფეხბურთელებისთვის მიეცა და მათ, ვისაც ყველაზე მეტი დატვირთვა გვქონდა, დაგვასვენა“ — უთხრა უკრაინელ ჟურნალისტებს გიგიაძემ.

„კრივბასის“ კაპიტანს ძალიან სურს, რომ საუკეთესო ბომბარდირი გახდეს და ამას არც მალავს...

„ორი თვეა, არ გამიტანია, ხან სიზუსტე მღალატობდა, ხანაც იღბალი. იმედი მაქვს, ბოლო ტურებში გამიმართლებს. თანაგუნდელებიც ცდილობენ ჩემს დახმარებას“.

უკრაინელი ჟურნალისტები ჩვენებურის გოლის ალღოთი დაინტერესდნენ და გიგიაძეს სხვა ქართველებზეც ჰკითხეს, თუ რატომ ვერ გამოირჩევიან ისინი გოლების გატანით...

„თქვენ გინდათ, რომ მცველები და ნახევარმცველები ბომბარდირები გახდნენ? ჯაბა კანკავამ ოთხი გოლი გაიტანა, ის საყრდენი ნახევარმცველია. დავით კვირკველია განაპირა მცველია და მასაც ოთხი ბურთი აქვს გატანილი. ბომბარდირობა ირაკლი მოდებაძეს და ლაშა ჯაკობიასაც შეეძლოთ, მაგრამ ტრავმების გამო თითქმის მთელი სეზონი გამოტოვეს“.

მიუხედავად უკრაინის ჩემპიონატში შედეგიანი თამაშისა, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი გიგიაძეს ნაკრებში თამაშის შანსს არ აძლევს, რაზეც ვასო ძალიან გულდაწყვეტილია...

„ყველაფერი მწვრთნელის გადასაწყვეტია. რადგან არ მეძახის, ესე იგი, აქვს ამის საფუძველი, თუმცა, რა თქმა უნდა, გული მწყდება. ისღა დამრჩენია, კლუბში ვითამაშო, ჩემი პროფესიონალიზმი დავამტკიცო და ბიჭებს აქედან ვუქომაგო“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა





## ლომაიას იენასთან იენსენი აშორებს

### აშვეთიაც მიდის

მიხეილ აშვეთიასა და გიორგი ლომაიას იენის „კარლ ცაისთან" კონტრაქტი ამოუწურათ და, სავარაუდოდ, ორივენი დაშორდებიან კლუბს.

აშვეთია რამდენიმე საჭირო გოლით კი შეეშველა „კარლ ცაისს", მაგრამ თვითონვე გვითხრა, მეორე ბუნდესლიგას ისევ რუსულ პრემიერლიგაში თამაში მირჩევნიაო, თუმც მიხოს მისი მსურველი გუნდი არ დაუკონკრეტებია.

რაც შეეხება ლომაიას, იგი უცბადვე გახდა „კარლ ცაისის" ძირითადი მეკარე და, მართალია, ერთიორი მატჩი ჩააგდო, მაგრამ რამდენჯერმე საუკეთესოც იყო გუნდში.

გუშინ კი გერმანულ პრესაში იენელთა მწვრთნელ ფრანკ ნოიბარტის ნაუბარი დაიბეჭდა, სადაც იგი ცალსახად მიანიშნებს, ლომაია არ მჭირდებაო. ნოიბარტმა ორი მეკარე დაასახელა, „კარლ ცაისის" ძირითადისთვის ისინი იქნებიან კონკურენტებიო, და გიორგი მათ შორის არ არის.

ამ ორში ერთი ბრემენის „ვერდერიდან" შეძენილი დანიელი კასპერ იენსენია. სკანდინაველი ბრემენელთა ძირითადში ვერ ხვდებოდა და რეგიონალლიგაში მოთამაშე „ვერდერის" მოყვარულებში ირჯებოდა.

სხვათა შორის, იენსენს დანიის ნაკრებშიც უთამაშია და ახლაც კანდიდატად ითვლება.

**ილია ნანობაშვილი**

## ბაქიმ ქართველები გაიხანგრძლივა

ამირან მუჯირი და ალეკო გოგობერიშვილი კიდევ ერთი წელი დარჩებიან აზერბაიჯანულ „ბაქოში" — მათ ეს კლუბის ხელმძღვანელობასთან შეათანხმეს და სავარაუდოდ, კონტრაქტსაც მალე გააფორმებენ.

შეგახსენებთ, მუჯირი ამ ზამთარს გადავიდა „ბათუმიდან" „ბაქოში", ხოლო გოგობერიშვილმა უკვე ორი სეზონი გაატარა ამ გუნდში და ერთ-ერთ ლიდერადაც ითვლება.

**ოთარ მხეიძე**

geo_geo_fan@hotmail.com

# ყველაზე მაგარი იყო შოთა

ისემც აგიხდეს ყველაფერი კარგიო — ასე იწყება დღევანდელ ფოსტაში მოსული ერთი წერილი. ეს ის ავტორია, ორი დღის წინ რომ მოიწერა, საფრანგეთთან „ღირსეულად" წავაგებთო. ისე, რა გინდა: ლიტვასთან 0:1 წაგების მერე საფრანგეთთანაც 0:1 წაგება არ არის ღირსეული მარცხი? მაგრამ რა ვუყოთ, რომ ცალკე ამდენმა წაგებამ ამოგვხადა სული და ცალკე ლოდინმა, ეგებ 90 წუთში ერთხელ მაინც დაგვერტყა კარში... ყველაზე ცუდი კი ის გვგონია, რომ ამ რუბრიკაში მოსული წერილები ნელ-ნელა გაქრილი ვაშლივით დაემსგავსა იმ წერილებს, რამდენიმე წლის წინ რომ მოგვდიოდა, ანუ გულშემატკივრის განწყობა ისევ იმ ძველდროინდელს დაუბრუნდა — ტოპმიოლერის წინანდელს. აი, შოთამ კი დაგვაჯერა — თუ ვინმეს რამე მოეწონა ოსერული თამაშის ყურებისას, შოთა არველაძის კომენტატორობა იყო. ეგრეა, ნიჭიერი კაცია შოთა...

**IRAKLI1979**: ისემც აგიხდეს ყველაფერი კარგი. ა, ბატონო, კიდევ ერთი მორიგი „ღირსეული" წაგება. ისე ენა არ მიბრუნდება, სასაყვედურო რამე დავწერო. რაც იციან საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებმა და რა დავალებაც მიიღეს მწვრთნელისგან, წვალობენ და ასრულებენ რის ვაი-ვაგლახით. ოღონდ, ერთი, ის მაინტერესებს, ჩვენი ნაკრებისთვის ბუცებს რომელი ფირმა აწარმოებს — ეჭვი მაქვს, ქართველები კედებით გამოდიან მოედანზე, თორემ ამდენს ევგენი პლუშჩენკო არ დასრიალებს ყინულზე!

აფერუმ, შოთა არველაძეს! ნაკრებშიც ერთ-ერთი საუკეთესო იყო და კომენტატორადაც ისეთი ჯიგრიანი გამოდგა, სიამოვნებით მოვუსმენდი შემდეგი რეპორტაჟის დროსაც.

შეატყობდით, აშკარად განყენებულ თემებზე ვწერ ახლა, მაგრამ თამაშზე რა უნდა დავწერო, როდესაც შენი გუნდი პირველად (და, მგონი, უკანასკნელად ამ თამაშში) კარის მიმართულებით 72-ე წუთზე დაარტყამს... და ჩვენს კართან ყოველი შეტევისას ოთარ ხიზანეიშვილი დაკარგული ბავშვივით აცეცებს თვალებს, თან ღმერთმა უწყის, რომელ პოზიციაზე დგას ხოლმე... არა, დღეს მაინც არ ვუსაყვედურებ გუნდს, იმიტომ, რომ გულში ჩავიხედოთ, განა ვინმე ელოდა სხვა შედეგს? არავინ! რატომ? ნამდვილად კარგი კითხვაა, მილიონიანი კითხვაა, ან თუნდაც წელიწადში ორმილიონიანი...

**KANDARELLI**: გაუმარჯოს! კომპლიმენტი მინდა ვუთხრა საქართველოს ნაკრების შემოქმედებით ჯგუფს. ნამდვილად არ ველოდი ასეთ შედეგს. თამაშამდე 5 წუთით ადრე ერთმა გამოცდილმა და პატივსაცემმა ადამიანმა მითხრა, საფრანგეთი არ არის ეგრეთ წოდებული „გამტანი" გუნდი და დიდი ანგარიშით არ წავაგებთო, მაგრამ მე მაინც არ მჯეროდა. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ ფრანგებმა უკრაინას და იტალიას ბევრად მეტი გოლი გაუტანეს საფრანგეთში, ვიდრე ჩვენ. აღმავლობის გზაზე ვართ გუშინდელის შემდეგ. ორი დღის წინ „სარბიელს" საშინელი წერილი მივწერე. ვინმეს არ ეგონოს, რომ ჩვენი ბიჭების წინააღმდეგი ვარ, უბრალოდ, რაღაცის შეცვლა მინდა და სისტემატურად რამდენიმე ათასმა ჩემნაირმა ხმა რომ ამოიღოს, იქნებ ერთ 30-35 წელიწადში რამე შევცვალოთ. მოკლედ, მთავარია, არ შევრცხვით.

P.S. ერთი შეკითხვა მაქვს და იქნებ ვინმემ იცოდეს? ეს მკვდრები რამდენს უხდიან ფედერაციას იმაში, რომ ნაკრებს მაისურა ჩაიცვან? უბრალოდ, ნაკრებში 80 პროცენტი ისეთი თამაშობს, განა ფეხბურთის თამაშის, მგონი, არაფრის აზრზე არ არის ამ ქვეყანაზე. ვინც შედავებას დააპირებს, ჯერ ბოლო ორი თამაშის ვიდეოჩანაწერს შეავლოს კიდევ ერთხელ თვალი. ხალხო, იქნებ შიმშილობის მაგვარი რამე მოვაწყოთ ლოზუნგით, „ნაკრებში მხოლოდ ფეხბურთელებმა უნდა ითამაშონ!"

ისე, კიდევ შიმშილობა გვინდა ჩვენ?

**MARIO KEMPES**: გაუმარჯოს „სარბიელს"! ჰა, როგორი თამაში იყო გუშინ, როგორ ვანერვიულეთ ფრანგები... ვინ იტყვის, საფრანგეთში 0:1 წაგება სამარცხვინოაო, მაგრამ ასე მეგონა, დიდი ბიძიკოები ბაგა-ბაღის ბავშვებს ეთამაშებოდნენ. იცით, რა არის გასაკვირი? გასაგებია, რომ გალასი თუ ტურამი მარცვალაძეზე ათჯერ მაღალი კლასის ფეხბურთელები არიან, მაგრამ მარცვალაძეც ხომ ზრდასრული ფეხბურთელია — როგორ უნდა წამოგეწიოს კაცი, როცა სამი ნაბიჯით მასზე წინ ხარ და ბურთიც შენ გიჭირავს? ან სამი ორზე რომ რჩები, რატომ ვერ უნდა გამოიყენო რიცხობრივი უპირატესობა, როცა ფრანგები სამნი შვიდზე რჩებოდნენ და იყენებდნენ ხოლმე.

ტოპმიოლერმა კი კიდევ ერთხელ „დამაჯერა". გესმით, თურმე უკრაინასა და რუსეთში მოთამაშე ფეხბურთელების კლასი სანაკრებოს ვერ შეეფერება. დავიჯეროთ, მუჯირს ლამაზი თვალების გამო ასახელებენ რუსები პრემიერლიგის ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად? ან კანკავას დონის ფეხბურთელები იგივე უკრაინის ნაკრებში არ არიან? „დნიპროდან" რამდენი კაცია უკრაინის ნაკრებში, ყველამ კარგად იცის.

რა უნდა ამ ტოპმიოლერს, გაგვარკვიოს! თუ ფეხბურთელები არ ჰყავს, რაღას ბაქიბუქობს, 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე გასასვლელად ვიბრძოლებთო. დროზე უნდა წავიდეს აქედან, ქართულ ფეხბურთს მატყუარები ისედაც ეყოფა...

**ZURA10**: უნდა გიხაროდეს თუ არა, როცა შენი გუნდი მთელ თამაშში ერთხელ დაარტყამს კარის მიმართულებით და ერთხელაც კუთხურს ჩააწვდის? გააჩნია, ვის ვეთამაშებით. თუ მსოფლიოს ჩემპიონებს და თანაც გუნდში ისეთი დაბნეული ფეხბურთელები თამაშობენ, რომ არ იციან, შემთხვევით ფეხში ჩავარდნილ ბურთს რა მოუხერხონ, უნდა გიხაროდეს, იმიტომ რომ შეიძლება, მთელ თამაშში ბურთი საერთოდ ვერც მიიღო.

მავანი ფსიქოლოგები ამბობენ, რომ როცა ადამიანს პროფესიული მოვალეობის შესრულების დროს სხვა ადამიანები უყურებენ და სტრესულ ატმოსფეროს უქმნიან, ნიჭიერი კომპეტენტური სუბიექტისთვის ეს გარემოებები დამატებითი სტიმულია. იქნებ ჩვენს ნაკრებს მარტო ფსიქოლოგი აკლია? არ ვიცი. ერთადერთი, რაც საფრანგეთთან თამაშში მომეწონა, რუსთავი 2-ზე შოთა არველაძის დებიუტი იყო კომენტატორის რანგში.

**LOLO**: გასაგებია, რომ საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელები ტოპმიოლერს არ მოსწონს. ახლა რუსეთის და უკრაინის ჩემპიონატი არაფრად ვარგაო. სულ მალე იტყვის, იტალია და ინგლისიც ამაზრზენია, მხოლოდ ბუნდესლიგაა მაგარიო...

გორის „დილაა", 16 კაცი რომ ჰყავს განაცხადში? ეს კაცი, მგონი, დაგვცინის და უნდა, მსოფლიოს დაანახოს, როგორი ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ. ამაში უხდიან მილიონებს? ასე შეშინებული ფარერები და ლიხტენშტაინი აღარ თამაშობენ. ნეტავ, ფრანგებთან პირველ ტაიმში არ რცხვენოდა ტოპმიოლერს, ასეთ საშინლად ჩამჯდარ ფეხბურთს რომ თამაშობდა მისი გუნდი?

საერთოდაც, მთელ შეხვედრაში კარისკენ ერთხელაც რომ ვერ დაარტყამ ბურთს, რაღაა სალაპარაკო.



**P.S. რა მოხდება, ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი ისეთ დროს დაიწყონ, საქართველოს ჰიმნი რომ მოვისმინოთ...**

geo_geo_fan@hotmail.com



## ოლიმპმა ერთიც შეიმატა: კოშკაძე

**საქართველოს** ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი“ ნელ-ნელა ახალი ფეხბურთელებით ივსება.

რამდენიმე დღის წინ გაუწყეთ, რომ ექსდინამოელები, ჯაბა დვალი და დავით გიგაური რუსთაველ გუნდში ითამაშებენ — მათ „ოლიმპთან“ ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

ჩემპიონებმა ბოლნისის „სიონიდან“ ლევან სილაგაძე და სერგო ორბელაძეც გადაიბირეს, გუშინ კი შევიტყვეთ, რომ „ბორჯომში“ მოთამაშე ალექსანდრე კოშკაძეც რუსთავის „ოლიმპში“ აპირებს კარიერის გაგრძელებს.

შეგახსენებთ, რომ კოშკაძეს თბილისის „ამერთან“ კონტრაქტი უკვე დაუმთავრდა და თავისუფალი აგენტია.

**ნუკრი ლოლაძე**

# საშველი თუ უსაშველო?
## უმაღლეს ლიგას მესხეთიც საეჭვო გაუხდა. დავითვლით თოთხმეტამდე?


ეღირსება ახალციხურ სარბიელს უმაღლესი ლიგა?

**საქართველოს** მე-19 ეროვნული ჩემპიონატის დაწყებამდე ორი თვეღაა დარჩენილი და რამდენი გუნდი ითამაშებს უმაღლეს ლიგაში, ჯერაც საკითხავია — სანამ გალატაკებული საჩხერის „ჩიხურა“ ფინანსების ძიებაშია, მის ბედქვეშ კიდევ ერთი გუნდი აღმოჩნდა — უმაღლეს ლიგაში წლეულს აღზევებული ახალციხის „მესხეთი“.

ახალციხელები უმაღლესი ლიგის დებიუტანტები არიან, კარგა ხანი იბრძოდა საამისოდ და წლეულს საწადელი აისრულა, თუმც როდესაც კლუბის პრეზიდენტ გია მესხელს საუმაღლესლიგო მიზნებზე სასაუბროდ დავუკავშირდით, ისეთები გვითხრა, რომ, შესაძლოა, ახალციხელებს უმაღლესი ლიგა სულაც გვერდზე დარჩეთ...

„სამომავლო გეგმებზე საუბარი ჯერჯერობით ძალიან ნაადრევია. ახლა ისეთი სიტუაციაა, შესაძლოა, უმაღლესი ლიგა დავტოვოთ კიდეც. აქამდე გუნდს რაიონის გამგეობა აფინანსებდა, 80 პროცენტს ისინი იხდიდნენ, დანარჩენი 20 პროცენტი კი ბიზნესმენთა ჯგუფზე მოდიოდა. უმაღლეს ლიგაში გადასვლის შემთხვევაში რაიონის მხრიდან დაფინანსება უნდა გაზრდილიყო, მაგრამ ახლა მთავრობაში რაღაცები შეიცვალა და დაფინანსებაც სათუო გახდა. ძალიან რთულ სიტუაციაში ჩავვარდით“.

რისი იმედი აქვს „მესხეთს“?

„ახალციხის რაიონი არ არის გაჭირვებული — გვპასუხობს გია მესხელი — უმაღლესი ლიგისთვის საჭირო მაქსიმუმის, 400 000 ლარის საშუალებაც ნამდვილად აქვს და, როგორც ვიცით, სურვილიც, მაგრამ, შესაძლოა, გარკვეული დროის შემდეგ დაურეკონ და უთხრან, ამის გაკეთება როგორ გაბედეთო და თანამდებობაც დაატოვებინონ. ამიტომ იკავებენ თავს. ასეთი მიდგომით ქართული ფეხბურთი დაიღუპება. საჭიროა, გუნდები რაიონებშიც გვყავდეს. მართალია, ეს თანხა იმის საშუალებას არ მოგვცემდა რომ „დინამოს“, „ოლიმპს“ ან „ამერს“ შევჭიდებოდით, მაგრამ საშუალო დონის გუნდი ნამდვილად გვეყოლებოდა“.

არადა, კლუბის ხელმძღვანელობას საუმაღლესლიგო გეგმა უკვე შედგენილი ჰქონია, მაგრამ ამ ბოლო დღეებმა ყველაფერი არია...

„ამდენი ხანი ვწვალობდით უმაღლეს ლიგაში გადმოსვლისთვის და როგორც იქნა, მოვახერხეთ. რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერებას ვაპირებდით, საშინაო თამაშების ჩატარება ცოტა ხნით ბორჯომში გვინდოდა, თან კი ჩვენი სტადიონის რეკონსტრუქცია გვქონდა დაგეგმილი, მინდვრის საფარით დაწყებული, დასაჯდომებით დამთავრებული... ხალხს სტადიონზე მოსვლა უხაროდა, ყველაფერი ნორმალურად იყო, მაგრამ...“

და ერთიც: რას იზამს ახალციხის „მესხეთი“? მაინც გაიჭირვებს და ითამაშებს უმაღლეს ლიგაში თუ მის ადგილს რომელიმე სხვა გუნდი იყიდის?

„ადგილის გაყიდვას არ ვაპირებთ — კატეგორიულია გია მესხელი — ეს ადგილი შრომით და ბრძოლით მოვიპოვეთ და უმაღლესში თამაშიც ძალიან გვინდა. ამას იმიტომ ვამბობ, იქნებ საქმე სასიკეთოდ შეიცვალოს. უმაღლეს ლიგაში თავს ბიზნესმენების დახმარებით კი გავიტანთ, მაგრამ არ მინდა, „მესხეთმა“ ისე ითამაშოს, რომ ერთი შეხვედრაც ვერ მოიგოს. ენახოთ, ეგებ უახლოეს დროში რამე შეიცვალოს“.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
## ჩვენი მეტოქეები


ფაბიო კალიარელამ კაუნასში გაიბრწყინა

## კალიორელა ლიტვას!

**ლიტვა 0:2 იტალია**

0:1, 0:2 კალიარელა (31, 45)

**ლიტვა:** გრიბაუსკასი, შემბერასი, შკერლა, პაულაუსკასი (გედგაუდასი 46), კლიმავიჩიუსი, სტანკევიჩიუსი, ჟვირგჟდაუსკასი, კალონასი, მორინასი (მიკოლიუნასი 39), სავენასი (ლაბუკასი 61), დანილევიჩიუსი

**მწვრთნელი:** ალგიმანტას ლიუბინსკასი

**იტალია:** ბუფონი, ოდო, კანავარო, მატერაცი, ძამბროტა, დე როსი (გატუზო 65), პირლო, პეროტა (ამბროზინი 71), დი ნატალე (დელ პიერო 74), ინძაგი, კალიარელა

**მწვრთნელი:** რობერტო დონადონი

**გაფრთხილება:** პირლო, ლაბუკასი

**მსაჯი:** პიტერ ვინკი (ჰოლანდია)

9 000 მაყურებელი

**მსოფლიოს** ჩემპიონებს ლიტვაში მხოლოდ სამი ქულა სჭირდებოდათ და თავიდანვე აქტიურად შეუტიეს მასპინძლებს. აპენინელთაგან განსაკუთრებით ფაბიო კალიარელა გამოირჩეოდა, რომელმაც „სკუადრა ატურას“ მაისურა მესამედ მოირგო, ძირითადში კი სულაც პირველად გამოჩნდა და დუბლიც გააფორმა.

ორივე საგოლე კომბინაცია ერთნაირი გამოდგა — პირველად ანდრეა პირლოს ჩაწოდებული ბურთი კალიარელამ მცველებში კარგად გააძვრინა, ხოლო მეორედ იმავ პირლოს პასით მახვილი კუთხიდან შორეულ ცხრიანში ჩაჭედა.

კალიარელას მანამდეც შეეძლო გატანა, მაგრამ მიზანმა უმტყუნა. მის გარდა კი ანტონიო დი ნატალეს, სიმონე პეროტასა და ჯანლუკა ძამბროტასაც ჰქონდათ მომენტები.

ერთადერთი, რაც ლიტველებმა მოახერხეს, მე-10 წუთზე კალონასის შორეული თავური იყო...

მეორე ნახევარში იტალიამ ნაჩვევ სტრატეგიას — ანგარიშის შენარჩუნებას — უღალატა და დაწოლა გააგრძელა.

დი ნატალეს, კალიარელას, პეროტას და ფილიპო ინძაგის მიზანმა აქცია ზურგი.

ლიტველები კი იმასღა ცდილობდნენ, დიდი ანგარიშით არ წაეგოთ...

„მოთმინებამ და შრომამ შედეგი მოიტანა. უკვე მომბეზრდა გუნდის ყოფილი ლიდერებისთვის წამდაუწუმ თხოვნა ნაკრებში გამოძახებაზე. იტალიაში ყოველთვის იყვნენ ტალანტები და ეს დღევანდელმა მატჩმაც დაამტკიცა. ყველანაირად ვეცდებით, ახალგაზრდული და ამბიციური გუნდი შევქმნათ“ — განაცხადა სტუმართა მწვრთნელმა რობერტო დონადონიმ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## ნაცრისფერი კუნძული შოტლანდიამაც ჩაძირა

**ფარერები 0:2 შოტლანდია**

0:1 მელოუნი (31), 0:2 ოკონორი (35)

**ფარერები:** მიკელსენი, ბენიამინსენი, დანიელსენი, ი. იაკობსენი, იოჰანესენი (დიურჰუუსი 36; სამუელსენი 77), ე. ბორგი (ფლოტუმი 82), ოლსენი, თომასენი, ჯ. იაკობსენი, რ. იაკობსენი, ჰოლსტი

**მწვრთნელი:** მარტინ ოლსენი

**შოტლანდია:** გორდონი, გ. ნეისმიტი, ვეირი, მაკმანუსი, ალექსანდერი, ფერგიუსონი, ფლეტჩერი (ტილი 68), ჰარტლი, ბოიდი (ს. ნეისმიტი 83), მელოუნი (ედამი 77), ოკონორი

**მწვრთნელი:** ალექს მაკლიში

**გაფრთხილება:** გ. ნეისმიტი, იოჰანესენი, ფერგიუსონი

**მსაჯი:** გეორგიოს კასნაფერისი (საბერძნეთი)

1 500 მაყურებელი

**შოტლანდიასთან** სენსაციების მოყვარულ ფარერებს ამჯერად არაფერი გამოუვიდა — ალექს მაკლიშის ბიჭებმა პირველივე წუთებიდან საჯარიმოს მიაჯაჭვეს კუნძულელები და ამოსუნთქვის საშუალება არც მისცეს.

უკვე მე-4 წუთისთვის გოლების გატანა დარენ ფლეტჩერს და შონ მელოუნს მართებდათ, თუმცა იაკუპ მიკელსენმა იყოჩაღა. მალე გარი ოკონორმა ხარიხა შეაზანზარა...

ოკონორმა გასატანი მაინც გაიტანა. ავსტრიასთან ამხანაგური მატჩის ჩათვლით, ზედიზედ მეორე თამაშია, თავდამსხმელი მოედანს უგოლოდ არ ტოვებს. ლოკომოტიველის გოლი ამჯერად პოლ ჰარტლის და ბარი ფერგიუსონის მწვავე კომბინაციის შემდეგ გავიდა — ოკონორმა თავით დაარტყა, მიკელსენმა ბურთი კი მოიგერია, მაგრამ დამატებაზე სქოთმავე იმარჯვა და ანგარიშში სხვაობა გააორმაგა.

ოთხი წუთით ადრე კი მელოუნმა გაიტანა — ეს 31-ე წუთზე მოხდა, როდესაც ფარერელთა დაცვა გაარღვია და...

მაკლიშს სასტარტოში სამი თავდამსხმელი ჰყავდა და ფარერელებსაც მხოლოდ დაცვაზე უხდებოდათ ფიქრი, რამაც თამაშს ყოველგვარი ინტრიგა მოუსპო და კუნძულელებს გოლის გატანის იოტისხელა შანსიც არ მისცემიათ...

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საფრანგეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 16:2 | 18 |
| იტალია | 7 | 5 | 1 | 1 | 13:6 | 16 |
| შოტლანდია | 7 | 5 | 0 | 2 | 13:6 | 15 |
| უკრაინა | 6 | 4 | 0 | 2 | 8:6 | 12 |
| ლიტვა | 7 | 2 | 1 | 4 | 4:7 | 7 |
| საქართველო | 8 | 2 | 0 | 6 | 13:14 | 6 |
| ფარერები | 8 | 0 | 0 | 8 | 2:27 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი


ჰამლეტ მხითარიანმა (მარცხნივ) პოლონეთი უქულოდ გაისტუმრა

AFP

## კასპაროვის კარი

### A ჯგუფი

**ყაზახეთი 1:1 აზერბაიჯანი**

0:1 ნადიროვი (30), 1:1 ბალტიევი (53)
**ყაზახეთი:** ლორია, ირისმეტოვი, კუჩმა, სმაკოვი, ჟალმაგამბეტოვი, ბალტიევი, ჩიჩულინი, კარპოვიჩი, ბიაკოვი, ოსტაპენკო (ტლეშევი 79), ჟუმასკალიევი (უტაბაიევი 90)
მწვრთნელი: არნო პიიპერსი
**აზერბაიჯანი:** ჰასანზადე, ს. აბასოვი, ე. გულიევი, რ. გულიევი, ჰაშიმოვი, ჩერტოგანოვი, სულთანოვი (ა. გურბანოვი 74), რ. აბასოვი, კ. ქერიმოვი (იმამალიევი 58), ნადიროვი (ხ. მამედოვი 84), სუბაშიჩი
მწვრთნელი: შაჰინ დინიევი
გაფრთხილება: ე. გულიევი
გაძევება: ჟალმაგამბეტოვი (45)
მსაჯი: ალბერტ ტუსაინი (ლუქსემბურგი)
11 800 მაყურებელი

**კაცნაკლულმა** ყაზახეთმა მოახერხა ქულის გადარჩენა და აზერბაიჯანი ბოლო ადგილზე დატოვა.

სტუმარ ვუგარ ნადიროვს მეოცე წუთზევე შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ ახლოდან თავით ძელს გაარტყა ბურთი, ათი წუთის შემდეგ კი მაინც გაიტანა — საჯარიმოში შესულმა მარჯვენა დაბალ კუთხეში ზუსტად დაარტყა.

პირველი ტაიმის ბოლოს მასპინძელთა მცველი მაქსიმ ჟალმაგამბეტოვი უხეშობისთვის გააძევეს.

შესვენების შემდეგ ათკაცა ყაზახებმა იყოჩაღეს და მალე გაათანაბრეს. ჟუმასკალიევმა მარცხნიდან ჩააწოდა, ხოლო რუსლან ბალტიევმა ორ მცველს დაასწრო და ბურთი კარში შეასრიალა.

66-ე წუთზე ჟუმასკალიევმა მეორე გაიტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე აღნიშნა და არ ჩათვალა.

**სომხეთი 1:0 პოლონეთი**

1:0 მხითარიანი (66)
**სომხეთი:** კასპაროვი, არზუმანიანი, ოვსეპიანი, მელიქიანი, მინასიანი (პაჩაჯიანი 78), თადევოსიანი, არაქელიანი, მხითარიანი (ა. ქარამიანი 70), მკრტჩიანი, შაჰგელდიანი (აკობიანი 46), ვოსკანიანი
მწვრთნელი: იან პორტერფილდი
**პოლონეთი:** ბორუცი, ბაკი (სობოლევსკი 65), ბრონოვიკი, დუდკა, ლევანდოვსკი, ვასილევსკი, ჟევლაკოვი, კრჟინოვეკი, ლობოძინსკი (ბლაშჩიკოვსკი 60), შმოლარეკი (ჟურავსკი 60), საგანოვსკი
მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი
გაფრთხილება: მკრტჩიანი, ბრონოვიკი
მსაჯი: პაველ ბალაი (რუმინეთი)
12 500 მაყურებელი

**მოტლანდიელი** იან პორტერფილდის გაწვრთნილმა სომხეთმა სენსაცია მოახდინა — ჯგუფის ლიდერი პოლონეთი დაამარცხა და ოთხ დღეში მეორე გამარჯვება მიითვალა. შაბათს ყაზახეთს სტუმრად მოუგეს, ოთხშაბათს კი ლეო ბეენჰაკერის პოლონეთიც მიაყოლეს.

პირველი ტაიმის შუიდან სტუმრები მეტოქის საჯარიმოში დასახლდნენ და სომეხთა მეკარე გევორქ კასპაროვი აქეთ-იქით ახტუნავეს. ოთხჯერ იხსნა კარი კასპაროვმა და შესვენებამ დროზე მოუსწრო.

მასპინძელთაგან საუკეთესო იყო მხითარიანი, რომელიც მეორე ნახევარში ხშირად ანერვიულებდა მეტოქეს კონტრშეტევებზე და გოლიც გაიტანა. არამ აკობიანმა საჯარიმოში ჩააწოდა, ხოლო მხითარიანმა უძლიერესი დარტყმით ბორუცი უშანსოდ დატოვა.

თამაშის მიწურულს სომხებს მეორის გატანაც შეეძლოთ, მაგრამ ბრონოვიკმა კარის ხაზიდან გამოიტანა ბურთი. თავის მხრივ, პოლონელებმაც შექმნეს ბოლოს მომენტი და კასპაროვმა ხუთი მეტრიდან დარტყმული მოიგერია.

**ფინეთი 2:0 ბელგია**

1:0 იოჰანსონი (27), 2:0 ა. ერიომენკო (71)
**ფინეთი:** იასკელაინენი, პასანენი, კალიო, ნიმანი, ტიჰინენი, ა. ერიომენკო (ფორსელი 89), რ. ერიომენკო, ჰეიკინენი, კოლკა (ნურმელა 86), ვაირინენი, იოჰანსონი
მწვრთნელი: როი ჰოჯსონი
**ბელგია:** სტიინენი, დე მანი, სიმონსი, კლემანი, ვერმაელენი (ბ. მარტენსი 46), დეფური, ფელაინი, ვან დამი, ვან დერ ჰიდენი, დე მული (არუნი 55), ე. მპენზა (სტერჩელე 86)
მწვრთნელი: რენე ვანდერეიკენი
გაფრთხილება: ფელაინი, ვაირინენი, ფელაინი, ვან დამი
გაძევება: ფელაიანი (52)
მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)
34 818 მაყურებელი

**ფინეთმა** მოგებით ჯგუფიდან გასვლის შანსი შეინარჩუნა, ბელგიელების მდგომარეობა კი გაუარესდა.

სტუმრებს მეორე წუთზევე ჰქონდათ მომენტი, მაგრამ ემილ მპენზამ ახლოდან თავით ააცილა. პირველი ტაიმი ბელგიამ უმეტესად დაცვაში გაატარა. სტინ სტიინენმა ჯერ მარკუს ჰეიკინენის დარტყმული მოიგერია, შემდეგ კი იონას კოლკას და ალექსეი ერიომენკოს აუღო. 27-ე წუთზე კი სტიინენმა ველარ იხსნა გუნდი, რადგან იოჰანსონის თავური უნაკლო იყო.

მეორე ტაიმის დასაწყისში ფელაიანი ტიჰინენს ეუხეშა და მოედნიდან მიაბრძანეს. კაცნაკლულ ბელგიელებს კი მეორე გოლი ერიომენკომ ათი მეტრიდან გაუტანა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პოლონეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 15:7 | 19 |
| სერბეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 10:4 | 14 |
| პორტუგალია | 7 | 4 | 2 | 1 | 15:5 | 14 |
| ფინეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 9:5 | 14 |
| ბელგია | 8 | 2 | 1 | 5 | 5:10 | 7 |
| სომხეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 3:7 | 7 |
| ყაზახეთი | 8 | 1 | 3 | 4 | 5:11 | 6 |
| აზერბაიჯანი | 8 | 1 | 2 | 5 | 4:17 | 5 |

## გულის შეტევა

### C ჯგუფი

**ნორვეგია 4:0 უნგრეთი**

1:0 ივერსენი (22), 2:0 ბრაატენი (57), 3:0, 4:0 კარეუ (60, 78)
**ნორვეგია:** ოპდალი, ჰაგენი, ჰანგელანდი, ანდრესენი, გრინდჰეიმი (ჰესტადი 46), პედერსენი (ჰელსტადი 82), ბ. რიისე, ა. რიისე, სტორბეკი, კარეუ, ივერსენი (ბრაატენი 46)
მწვრთნელი: აგე ჰარეიდე
**უნგრეთი:** ვეგი, ბალოგი, იუჰაში, შელესი, ვანჩაკი, ბუშაკი (ვადოცი 83), ტოტი, ტოშერი, გერა, ჰაინალი, პრისკინი (ტიშა 71)
მწვრთნელი: პეტერ ვარჰიდი
გაფრთხილება: ჰაგენი, ჰაინალი
მსაჯი: ედუარდო იტურალდე გონსალესი (ესპანეთი)
19 198 მაყურებელი

**შაბათსაც** და ოთხშაბათსაც „ვიკინგებმა" ერთნაირი ანგარიშით მოიგეს. მალტის დამარცხების შემდეგ ნოვერგიამ უნგრეთსაც ოთხი გოლი მიართვა და ქულებით თურქეთსა და ბოსნიას გაუთანაბრდა.

ნორვეგიელებმა მალტასაც მეორე ტაიმში გაუტანეს სამი და ასე იყო უნგრეთთანაც.

ანგარიში სტეფენ ივერსენმა 22-ე წუთზე გახსნა. სტუმარმა მცველებმა კუთხურის შემდეგ საჯარიმოდან ბურთი ვერ ამოიტანეს და ივერსენსაც ახლოდან გატანა არ გასჭირვებია.

მეგოლის შემცვლელმა ბრაატენმა შესვენების შემდეგ მეორე შეაგდო, ბოლოს კი იონ კარეუმ ჯერ ანდრესენის, მერე რიისეს პასებით დუბლი შეასრულა.

**ბოსნია 1:0 მალტა**

1:0 მუსლიმოვიჩი (6)
**ბოსნია:** გუსო, მუსიჩი (მუამეროვიჩი 90), პანძა, რადელჯიჩი, დამიანოვიჩი, პრგოვიჩი, მალეტიჩი (ბარტოლოვიჩი 80), მისიმოვიჩი, რახიმიჩი, ძეკო (ზება 56), მუსლიმოვიჩი
მწვრთნელი: ფუად მუზუროვიჩი
**მალტა:** მუსკატი, აზოპარდი, ბრიფა, დიმეში, საიდი, აგიუსი, პეისი (ბარბარა 82), სამუტი, ბოგდანოვიჩი (მემბრი 65), მიფსუდი, კუდსი (მალია 70)
მწვრთნელი: დუშან ფიტცელი
გაფრთხილება: მისიმოვიჩი, დიმეში
მსაჯი: კერი რიჩარდსი (უელსი)
15 000 მაყურებელი

**მასპინძელთა** მწვრთნელი ფუად მუზუროვიჩი მატჩამდე სამი საათით ადრე ცუდად გახდა — გულმა შეუტია და ჰოსპიტალში გააქანეს. მოგვიანებით პრესმდივანმა თქვა, რომ ნაკრების თავკაცი კარგადაა და ორ დღეში გამოწერენ.

„მოგებას მწვრთნელს ვუძღვნით — განაცხადა გოლის ავტორმა ზლატან მუსლიმოვიჩმა — ძალიან ვნერვიულობდით მის გამო და ეს თამაშზეც დაგვეტყო".

ბოსნიელებმა სამი ქულა მიითვალეს, თურქეთს გადაასწრეს და მეორე ადგილზე აღზევდნენ. პირველ ტაიმში მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო და მე-6 წუთზე ძეკოს პასით მუსლიმოვიჩმა ცარიელ კარში გაიტანა.

მუზუროვიჩის თანაშემწე ივო ისტუკმა თქვა: „მალტა ხელწამოსაკრავი გუნდი არ არის. დღევანდელ ფეხბურთში აუტსაიდერები და იოლად დასამარცხებელი მეტოქეები აღარ არსებობენ. ბოლო სამი მატჩიდან სამივე მოვიგეთ და ევრო 2008-ისკენ გვიჭირავს თვალი".

**საბერძნეთი 2:1 მოლდოვა**

1:0 ხარისტიასი (30), 1:1 ფრუნზა (80), 2:1 ლიბეროპულოსი (90)
**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, სეიტარიდისი, კირიაკოსი, გუმასი, პაცაცოღლუ (იანაკოპულოსი 83), კარაგუნისი, კაცურანისი, ტოროსიდისი, ამანატიდისი (სამარასი 71), ხარისტიასი, გეკასი (ლიბეროპულოსი 63)
მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი
**მოლდოვა:** კალაჩია, კატინსუსი, ეპურიანუ, გოლოვაცენკო, ბურდიანი, კომლენოკი (ტიგირლასი 82), გაცკანი, იოსანი, ნამასკო, ალექსეევი (ფრუნზა 64), ბუგაევი (ზმეუ 57)
მწვრთნელი: იგორ დობროვოლსკი
გაფრთხილება: გაცკანი, კარაგუნისი, ტიგირლასი
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
18 000 მაყურებელი

**ექვსი** წელია, მოლდოვას შესარჩევ მატჩებში საგარეო ქულა არ აუღია და საბერძნეთში ნავსის გატეხვა შეეძლო, თუმც ბოლო წამებზე ნიკოს ლიბეროპულოსმა სტუმრებს მარცხიანი სერია გაუგრძელა. მე-8 წუთზე იოანის ამანატიდისის დარტყმული მეკარე კალაჩიამ მოიგერია, გეკასმა დაამატა, მაგრამ კარის ხაზიდან ეპურიანუმ გამოიტანა.

ამის მერე მოლდოვამაც შეუტია და ბუგაევს ნიკოპოლიდისმა აუღო. ნახევარი საათის თავზე კი ანგელოს ხარისტიასმა ანგარიში გახსნა — ფლანგიდან ჩაწოდებულს თავი საგოლედ დაჰკრა.

მეორე ტაიმში ბერძნები მშვიდად აგორებდნენ ბურთს და დაისაჯნენ: შეცვლაზე შესულმა ფრუნზამ დაბალ კუთხეში გაუტანა ნიკოპოლიდისს.

მასპინძლებმა ქაოსურად შეუტიეს და მაინც მოახერხეს მოგება — ასევე შეცვლაზე შესულმა ლიბეროპულოსმა ბოლო წამზე საჯარიმოში არეულობით ისარგებლა და ბურთი კარში შეტენა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 12:5 | 18 |
| ბოსნია | 7 | 4 | 1 | 2 | 14:14 | 13 |
| თურქეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 16:6 | 13 |
| ნორვეგია | 7 | 4 | 1 | 2 | 17:6 | 13 |
| უნგრეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 7:14 | 6 |
| მალტა | 7 | 1 | 1 | 5 | 5:15 | 4 |
| მოლდოვა | 7 | 0 | 2 | 5 | 4:15 | 2 |


მოლდოველები ბერძნებს მაგრად გაუძალიანდნენ

AFP

# ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი



AFP

## ამ ჯგუფში ფეხბურთი ლოგიკური თამაშია...

F ჯგუფი

**შვედეთი 5:0 ისლანდია**

1:0 ოლბოკი (11), 2:0 სვენსონი (42), 3:0 მელბერგი (45), 4:0 როზენბერგი (50), 5:0 ოლბოკი (51)

**შვედეთი:** ისაკსონი, ნილსონი (ვონ შლებრუგე 57), მელბერგი, ჰანსონი, ალექსანდერსონი, ლინდეროთი (დ. ანდერსონი 62), ლიუნგბერგი, ა. სვენსონი, ვილჰელმსონი, ოლბოკი (იბრაჰიმოვიჩი 73), როზენბერგი

**მწვრთნელი:** ლარს ლაგერბეკი

**ისლანდია:** არასონი, ო. ბიარნასონი, თ. ბიარნასონი, გ. გუნარსონი, ინგიმარსონი, სტეინსონი (კ. სიგურდსონი 90), ბ. გუნარსონი, ჰალფრედსონი (იონსონი 53), ვიდარსონი, საევარსონი (გუდმუნდსონი 65), ჰ. სიგურდსონი

**მწვრთნელი:** ეიოლფურ სვერისონი

**გაფრთხილება:** გ. გუნარსონი, ვიდარსონი

**მსაჯი:** ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)

33 338 მაყურებელი

**შვედეთის** ნაკრებმა სტოკჰოლმში გაუბედურებულ ისლანდიას 5 უპასუხო გოლი მიართვა და „ვიკინგებიც“ ჯგუფის ლიდერებად მოგვევლინენ. შვედები წლეულს შესანიშნავად თამაშობენ და ევრო 2008-ზე მონაწილეობასთანაც ძალიან ახლოს არიან.

დანიასთან გასულ შაბათს გამართული რთული ჯახისგან განსხვავებით, „რასუნდაზე“ მასპინძელთათვის ყველაფერი იოლად წარიმართა. მარკუს ოლბოკის დუბლმა და ანდერს სვენსონის, ოლოფ მელბერგისა და მარკუს როზენბერგის ზუსტმა დარტყმულებმა შვედეთს ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შესანიშნავი შანსები მისცა. ისლანდია კი, რომელმაც შაბათს რეიკიავიკში ლიხტენშტაინის დამარცხება ვერ შეძლო, კვლავინდებურად მეექვსე ადგილზეა.

არნი არასონის კარში გოლთაცვენა მეთერთმეტე წუთზე დაიწყო, როცა მარკუს ოლბოკმა სტუმართა მისადგომები ადვილად დალაშქრა. ისედაც ულიმღამოდ მობურთავე ისლანდიელები ამ მომენტიდან სულ მოეშვნენ და პირველი ტაიმის ბოლოს სვენსონმა და მელბერგმა თავიანთი გოლები გაიტანეს.

შესვენებამ მომხვდურებს ვერ უშველა და გასახდელიდან მოედანზე რამდენიმე წუთის დაბრუნებულმა როზენბერგმა ტაბლოზე 4:0 აანთო. სულ მცირე ხანში კი თავი ისევ ოლბოკმა ისახელა — მან, ვინც ისლანდიელთა რბევას სათავე დაუდო, არასონს მეხუთეც გაუტანა და ამით სტუმრებს სულ მოუთავა ხელი.

შვედეთი შესარჩევში ბრძოლას 8 სექტემბერს, დანიასთან მატჩით განაახლებს, ხოლო ისლანდია იმავე დღეს ესპანეთს დაუხვდება.

**ლატვია 0:2 დანია**

0:1, 0:2 რომედალი (15, 17)

**ლატვია:** კოლინკო, ზირნისი, სტეპანოვსი, კლავა, ივანოვსი, ასტაფიევსი, ბლეიდელისი (სოლონიცინსი 66), ლაიზანსი, რუბინსი (კაუნა 75), კარლსონსი (პახარსი 61), ვერპაკოვსკისი

**მწვრთნელი:** ალექსანდრს სტარკოვსი

**დანია:** სორენსენი, ლ. იაკობსენი, ლაურსენი, აგერი, ნ. იენსენი, დ. იენსენი, რომედალი (კალენბერგი 46), ბენდტნერი (ვიურცი 60), გრონკიაერი, იორგენსენი, ტომასონი

**მწვრთნელი:** მორტენ ოლსენი

**გაფრთხილება:** ვერპაკოვსკისი, რომედალი, პახარსი, დ. იენსენი

**მსაჯი:** მატეო ტრეფოლონი (იტალია)

10 000 მაყურებელი

**მორტენ ოლსენის** გუნდი კოპენჰაგენში მავანი გალეშილი ფანის უჭკუო საქციელმა (არბიტრ ჰერბერტ ფანდელს გაულაწუნა სახეში) უქულოდ დატოვა და შაბათის მატჩის შედეგით გულნაკლულმა დანიელებმაც ჯავრი ლატვიის სუსტ გუნდზე იყარეს.

„სკონტოზე“ დანია განსხვავებული შემადგენლობით წარსდგა — ცენტრალური მცველი ლაურსენი რამდენიმეთვიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა ნაკრებს, ნახევარდაცვის ცენტრში მარტინ იორგენსენმა ითამაშა, მარჯვენა ფლანგზე გრონკიაერმა, ხოლო ბენდტნერმა კი წინა ხაზზე.

ოლსენის ბიჭებმა ლატვია პირველივე წუთიდან შეავიწროვეს, იორგენსენსა და გრონკიაერს კარგი საგოლე შანსები მიეცათ. მასპინძელთა საპასუხო იერიშებისას კი მარის ვერპაკოვსკისი აქტიურობდა — ესპანური „ხეტაფეს“ ფორვარდი ერთ ეპიზოდში საჯარიმოში წაიქცა, თუმც მსაჯმა პენალტი არ დანიშნა და ვერპაკოვსკისსაც ყვითელი ბარათი უჩვენა სიმულაციისთვის.

გოლები დენის რომედალმა გაიტანა. მეთხუთმეტე წუთზე „ჩარლტონის“ ნახევარმცველი მეურვე ზირნისს თავისუფლად დაუსხლტა და ანგარიში გახსნა. ორი წუთის შემდეგ კი ისევ ზირნისი ჩაფლავდა და რომედალმაც საუცხოო მეორე გოლი შეაგდო.

დანია ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შესაძლებლობებს ინარჩუნებს, ლატვიას კი, ეტყობა, გოლის გატანა გადაავიწყდა — ზედიზედ ექვსი თამაშია, ბალტიისპირელებს მეტოქის მეკარეები არ შეუწუხებიათ...

**ლიხტენშტაინი 0:2 ესპანეთი**

0:1, 0:2 ვილია (8, 14)

**ლიხტენშტაინი:** იელე, ჰასლერი, მარტინ შტოკლასა, მიხაელ შტოკლასა (ტელსერი 29), რიცბერგერი, ბუჩელი, ბურგმაიერი, პოლვერინო, თ. ბეკი (რ. ბეკი 82), მ. ფრიკი, რორერი (დ. ფრიკი 59)

**მწვრთნელი:** ჰანს-პეტერ ცაუგი

**ესპანეთი:** რეინა, ს. რამოსი, ხავი ნავარო, მარჩენა, კაპდევილა (ა. ლოპესი 52), ფაბრეგასი (ლუის გარსია 67), ხაბი ალონსო, ინიესტა, ხოაკინი, დ. სილვა (სოლდადო 77), ვილია

**მწვრთნელი:** ლუის არაგონესი

**გაფრთხილება:** ფაბრეგასი, ბუჩელი, ბურგმაიერი

**მსაჯი:** ნიკოლაი ივანოვი (რუსეთი)

5 739 მაყურებელი

**პაწაწინა** სამთავრო ისლანდიას ვაჟკაცურად კი ებურთავა, მაგრამ გუშინ ვადუცში ლიხტენშტაინს ისეთი მეტოქე ჰყავდა, რომ სენსაციას ვერანაირად მოახდენდა. ესპანეთი ლიდერობას ესწრაფვის და ისედაც ძლიერი „ფურია როხა“ „რეინპარკს“ ქულათა უცილობელი მოპოვების სურვილით ესტუმრა.

გოლები დავიდ ვილიამ გაიტანა — პირველად ვალენსიელმა მეკარე მოატყუა, მეორედ კი დავიდ სილვას პასის შემდეგ მაკრატელათი შეაგდო.

„ღამურათა“ ფორვარდს კიდევ უნდა გამოეჩინა თავი, თუმც პენალტის გატანა ვერ მოახერხა.

ლიხტენშტაინთან მოგების შემდეგ, ესპანეთმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 7 | 5 | 1 | 1 | 17:7 | 16 |
| ესპანეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 13:6 | 15 |
| ჩრდ. ირლანდია | 6 | 4 | 1 | 1 | 10:7 | 13 |
| დანია | 6 | 3 | 2 | 1 | 12:5 | 11 |
| ისლანდია | 7 | 1 | 1 | 5 | 5:15 | 4 |
| ლიხტენშტაინი | 7 | 1 | 1 | 5 | 4:18 | 4 |
| ლატვია | 6 | 1 | 0 | 5 | 4:7 | 3 |



ორგოლიანი დავიდ ვილია

AFP

## მირო კლოზეს ნდობა შეიძლება

### გერმანია საკუთარმა კარმა არია

D ჯგუფი

**გერმანია 2:1 სლოვაკეთი**

1:0 კლოზე (10), 1:1 მეცელდერი (20ს.კ.), 2:1 ჰიცლშპერგერი (43)

**გერმანია:** ლემანი, ლამი, მერტესაკერი, მეცელდერი, იანსენი, ფრიცი, ფრინგსი, შნაიდერი (როლფსი 90), ჰიცლშპერგერი, კლოზე (ტროხოვსკი 74), კურანი (გომესი 65)

**მწვრთნელი:** იოახიმ ლიოვი

**სლოვაკეთი:** ჩონტოფალსკი, დიურიცა, კლიმპლი, შკრტელი, სვენტო, ჰამსიკი, კრაიჩიკი, საპარა (ჰოლოშკო 65), შტრბა (ორავეცი 83), შესტაკი (ზოფჩაკი 65), ვიტეკი

**მწვრთნელი:** იან კოციანი

**გაფრთხილება:** შტრბა, შნაიდერი

**მსაჯი:** ოლეგარიუ ბენკუერენსა (პორტუგალია)

51 500 მაყურებელი

**სამივე** გოლი მასპინძლებმა გაიტანეს და სლოვაკეთის დამარცხების შემდეგ ხუთი ქულით გაექცნენ მდევარ ჩეხებს.

მასპინძლები მალევე დაწინაურდნენ მიროსლავ კლოზეს გოლით, რომელსაც მატჩამდე თანაკლუბელი ტორსტენ ფრინგსი აკრიტიკებდა, ბუნდესმწვრთნელი იოახიმ ლიოვი კი სან მარინოსთან ცუდი თამაშის მიუხედავად, ენდო ბრემენის „ვერდერის“ ფორვარდს და მანაც გაუმართლა.

ცოტა ხნის შემდეგ საკუთარ კარში ბურთი კრისტოფ მეცელდერმა ჩაჭრა, რამაც გერმანელების თამაში არია, თუმც ტაიმის მიწურულს თომას ჰიცლშპერგერმა შეაგდო და მასპინძლები დააწინაურა.

მეორე ნახევარში იოახიმ ლიოვის გუნდმა ვერ იფოჩალა, მაგრამ წაუგებელი სერია შვიდ მატჩამდე გაზარდა.

„ბიჭები აშკარად დაღლილები იყვნენ, თუმც გულიანად იბრძოლეს და მოსაგებად თავი არ დაზოგეს“ — თქვა ნამატჩევს ლიოვმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 7 | 6 | 1 | 0 | 29:4 | 19 |
| ჩეხეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 15:4 | 14 |
| ირლანდია | 7 | 4 | 1 | 2 | 12:8 | 13 |
| სლოვაკეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 16:13 | 9 |
| უელსი | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | 7 |
| კვიპროსი | 6 | 1 | 1 | 1 | 9:16 | 4 |
| სან მარინო | 6 | 0 | 0 | 6 | 1:36 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ევროპის 2008 წლის ჩემპიონატი. შესარჩევი ეტაპი

# ბექჰემის ორპასიანი პასუხი

## რუსებს სიტყვა „ანექსია“ აბოდებთ

**E ჯგუფი**

**ანდორა 0:2 ისრაელი**

0:1 ტამუზი (37), 0:2 კოლაუტი (53)
**ანდორა:** ქ. ალვარესი, ჩ. გარსია (სონეხე 61), ი. ლიმა, ა. ლიმა, ხ. აიალა, ბერნაუსი, ესკურა, ხ. გარსია, ხუსტო, ვიეირა, ტოსკანო (ხ. სანჩესი 77)
მწვრთნელი: დავიდ როდრიგო
**ისრაელი:** ავატი, ბენადო, ბენ დაიანი, იეჩელი, ზივი, ალბერმანი (ბადირი 71), ბენაიუნი, ტალი, კოლაუტი (გოლანი 86), იცხაკი, ტამუზი (ზანდბერგი 77)
მწვრთნელი: დრორ კაშტანი
გაფრთხილება: ი. ლიმა, ესკურა
მსაჯი: იან სტოკსი (ირლანდია)
680 მაყურებელი

**ანდორაში** თამაშამდე და მატჩის დროსაც კოკისპირულად წვიმდა და მოედანი გვარიანად დატბორა, მაგრამ უსუსტეს მასპინძლებს ისრაელმა წყალბურთშიც მოუგო.

პირველი ტაიმის ბოლოს სტუმართა ნახევარმცველის პასი საჯარიოს წინ გუბემ შეაჩერა და ისე ჩანდა, რომ ანდორელი მეკარე ალვარესი ბურთს აიღებდა, მაგრამ კოლაუტიმ დაასწრო და ტამუზს მიაწოდა, რომელსაც გატანა არ გასჭირვებია.

მეორე ნახევრის დასაწყისში კი იცხაკმა ჩააწოდა საჯარიმოში და კოლაუტიმ თავით შეაგდო კარში.

**ხორვატია 0:0 რუსეთი**

**ხორვატია:** პლეტიკოშა, შიმიჩი, შიმუნიჩი, რ. კოვაჩი, კორლუკა, და სილვა, ნ. კოვაჩი, კრანჩარი (პეტრიჩი 66), მოდრიჩი, სრნა (ლეკო 8), ოლიჩი (ბაბიჩი 83)
მწვრთნელი: სლავენ ბილიჩი
**რუსეთი:** მალაფეევი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ანიუკოვი, ბუდიანსკი (ტორბინსკი 46), ბისტროვი (საენკო 61), სემშოვი, ჟირკოვი, არშავინი, კერჟაკოვი (სიჩოვი 73)
მწვრთნელი: გუს ჰიდინკი
გაფრთხილება: ტორბინსკი, საენკო, ლეკო
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
38 000 მაყურებელი



ანდორული წყალბურთი

**მატჩამდე** ხორვატთა მწვრთნელმა სლავენ ბილიჩმა განაცხადა, ჩვენთვის ფრეც არ იქნება ურიგო შედეგიო და ასეც მოხდა.

მასპინძლებმა შესარჩევი საშინაო მატჩების წაუგებელი სერია 33-მდე გაზარდეს და პირველი ადგილი შეინარჩუნეს.

„კმაყოფილები ვართ შედეგით, რადგან ზაგრებში ხორვატებთან ფრეს ბევრი ძლიერი გუნდი ვერ გააზერხებს. ჩემი ფეხბურთელები ტოლ-სწორად ეთამაშნენ მეტოქეს და ვფიქრობ, შემოდგომაზე გადამწყვეტ მატჩებში ასე თუ ვითამაშეთ, ჯგუფიდან გასვლის კარგი შანსი გვექნება“ — თქვა სტუმართა მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა.

პირველ ტაიმში რუსეთი დაცვაში იდგა და მეკარე მალაფეევმაც არაერთი ბურთი მოიგერია. მეორის დასაწყისში კი ედუარდო და სილვამ ცარიელ კარში ვერ გაიტანა, ხოლო იოსიპ შიმუნიჩის დარტყმული ძელს მოხვდა.

„ყველანაირად ვცადეთ გოლის გატანა, მაგრამ რუსების დაცვის გავლა ძალიან ძნელი იყო — განაცხადა სლავენ ბილიჩმა.

და ერთიც: თამაშის დაწყებამდე ზაგრებში ჩასულმა რუსმა ფანებმა მერიის წინ აფრიალებული ხორვატიის დროშა ჩამოხსნეს და რუსეთისა დაამაგრეს.

ვფიქრობთ, კომენტარი ზედმეტია...

**ესტონეთი 0:3 ინგლისი**

0:1 კოული (37), 0:2 კრაუჩი (54), 0:3 ოუენი (62)
**ესტონეთი:** პოომი, იააგერი, კრუგლოვი, სტეპანოვი, დმიტრიევი, კლავანი, ლინდპერე, ვასილიევი, კონსა (ნეემელო 46), ტერეხოვი (კინკი 64), ვოსკობოინიკოვი
მწვრთნელი: იელე გუსი
**ინგლისი:** რობინსონი, ბრაუნი, კინგი, ტერი, ბრიჯი, ბექჰემი (დაიერი 68), ლამპარდი, ჯერარდი, ჯ. კოული (დაუნინგი 75), ოუენი (ჯენასი 88), კრაუჩი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: კრაუჩი
მსაჯი: გჟეგოჟ გილევსკი (პოლონეთი)
11 000 მაყურებელი

**დევიდ ბექჰემმა** ორი საგოლე პასი გაჩარხა, ინგლისმა კი იოლად მოიგო ტალინში, გუნდთან, რომელსაც ჯერ არ გაუტანია და ქულაც არ აუღია.

ჯო კოულმა პირველი ტაიმის მიწურულს დააწინაურა სტუმრები, მეორე ნახევარში კი ბექჰემის პასით ჯერ პიტერ კრაუჩმა შეაგდო, მერე კი მაიკლ ოუენმა, რომლისთვისაც ეს მეორე სანაკრებო მატჩი იყო მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონატის შემდეგ. თვით უსუსტეს ესტონეთთანაც გამოჩნდა, რომ დევიდ ბექჰემი ნაკრებისთვის ძალიან ბევრს ნიშნავს.

„ბიჭებთან დაბრუნება მახარებს — თქვა „რეალის“ ნახევარმცველმა — სამი გავიტანეთ, კარგად ვითამაშეთ და თავდაჯერებულობაც დაგვიბრუნდა“.

„ჩვენ გუნდს დავემსგავსეთ — აღნიშნა სტივ მაკლარენმა — ესტონეთმა იბრძოლა, მაგრამ კლასით ვაჯობეთ. ადრე თუ გვიან, დაიღლებოდნენ და გაიხსნებოდნენ. ორკვირიანი ნახევარი გავატარეთ ერთად შეკრებაზე და ბრაზილიასთან ამხანაგურმა მატჩმაც რწმენა შეგვმატა“.

რაც შეეხება ბექჰემს, მაკლარენმა თქვა: „კარგი თამაშით ყველა კრიტიკოსს გასცა პასუხი“.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 7 | 5 | 2 | 0 | 16:4 | 17 |
| ისრაელი | 8 | 5 | 2 | 1 | 17:7 | 17 |
| რუსეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 11:1 | 15 |
| ინგლისი | 7 | 4 | 2 | 1 | 12:2 | 14 |
| მაკედონია | 7 | 2 | 1 | 4 | 6:7 | 7 |
| ესტონეთი | 7 | 0 | 0 | 7 | 0:14 | 0 |
| ანდორა | 7 | 0 | 0 | 7 | 1:28 | 0 |

# სამივემ სამივე ხუთ დღეში

**G ჯგუფი**

**ბულგარეთი 2:1 ბელარუსი**

0:1 ვასილიუკი (53), 1:1 მ. პეტროვი (10), 2:1 იანკოვი (40)
**ბულგარეთი:** ივანკოვი, კიშიშევი, ტომაშიჩი, ტუნჩევი, ვაგნერი, ს. პეტროვი, ტელკისკი, იანკოვი (სირაკოვი 90), იოვოვი (ანგელოვი 68), ბერბატოვი, მ. პეტროვი (მანჩევი 84)
მწვრთნელი: სტანიმირ სტოილოვი
**ბელარუსი:** ჟევნოვი, რადკოვი, შტანიუკი, ტიგორევი, იურევიჩი, ა. გლები, კალაჩევი (კუტუზოვი 44), კორიტკო, კოვბა, სტრახანოვიჩი (ვ. გლები 64), ვასილიუკი (კორნილენკო 55)
მწვრთნელი: იური პუნტუსი
გაფრთხილება: კალაჩევი, ტიგორევი, კორნილენკო
მსაჯი: კრისტინ იაკობსონი (ისლანდია)
10 277 მაყურებელი

**ისევე,** როგორც რუმინეთმა, ბულგარეთმაც ხუთ დღეში ორჯერ მოუგო მეტოქეს. მინსკში სტანიმირ სტოილოვის შეგირდებმა ადვილად იმარჯვეს და ერთი თავით მაღლა იდგნენ ბელარუსზე, სოფიაში კი სტუმრებმა უკეთესად ითამაშეს და პენალტით დაწინაურდნენ. თერთმეტმეტრიანი ალექსანდრ გლების წაქცევისთვის დაინიშნა და რომან ვასილიუკმაც ნიშნულიდან გაიტანა.

ხუთ წუთში მასპინძლებმა გაათანაბრეს. მარტინ პეტროვმა საჯარიმო დარტყმით ბურთი ცხრიანში შეაგდო. პირველი ტაიმის მიწურულს ბულგარელებმა კოხტა, ოთხსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და იანკოვმა მეკარე ჟევნოვს შანსი არ დაუტოვა.

**რუმინეთი 2:0 სლოვენია**

1:0 მუტუ (40), 2:0 კონტრა (70)
**რუმინეთი:** ლობონტი, კონტრა, გოიანი, რაცი, ტამაში, კივუ, კოდრია (პლესანი 78), ფ. პეტრე (ნიკოლიტა 75), ზიკუ (როსუ 60), მუტუ, მარიკა
მწვრთნელი: ვიქტორ პიცურკა
**სლოვენია:** ჰანდაროვიჩი, ილიჩი, ჟოკიჩი (ფილეკოვიჩი 84), მავრიჩი, მორეცი, ჩეჰი, კომაცი, ვრშიჩი, ზლოგარი (შუკალო 77), ბირსა (ნოვაკოვიჩი 54), ლავრიჩი
მწვრთნელი: მატიაჟ კეკი
გაფრთხილება: ჟოკიჩი, მავრიჩი, კონტრა, ვრშიჩი, ტამაში, ზლოგარი, ილიჩი, ნოვაკოვიჩი
მსაჯი: ალონ იეფეტი (ისრაელი)
22 000 მაყურებელი

**ფიორენტინელი** ადრიან მუტუს კარგი თამაშის წყალობით, რუმინელებმა ხუთ დღეში მეორედაც დაამარცხეს სლოვენია და ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერები გახდნენ.

შაბათს სლოვენიაში ვიქტორ პიცურკას გუნდმა მეორე ტაიმში გახსნა ანგარიში, ამჯერად კი გოლის დრომ პირველი ნახევრის ბოლოსკენ გადმოიწია. პოლ კოდრიას პასით ადრიან მუტუმ თავით გაუტანა ჰანდაროვიჩს. ხოლო შესვენების შემდეგ მუტუს პასით კოზმინ კონტრამ ისარგებლა და სხვაობა ორამდე გაზარდა.

„ფიორენტინას“ ფორვარდს თამაშის დასაწყისშივე ჰქონდა მომენტი, როცა მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ვერ აჯობა, შემდეგ კი კარის წინ გასროლილ ბურთს ფეხი ვერ მიაწვდინა. ამის მერე დორინ გოაინმა დაჰკრა შორიდან და ძელი შეტოკდა.

მოკლედ, მასპინძლების უპირატესობა მთელი თამაშის განმავლობაში აშკარა იყო, რადგან სტუმრებმა მხოლოდ ერთხელ დაარტყეს კარში.



რუმინეთი ლიდერობას არ თმობს

**ლუქსემბურგი 0:3 ალბანეთი**

0:1 შკელა (25), 0:2, 0:3 კაპლანი (36, 72)
**ლუქსემბურგი:** ჟუბერი, ბიგარი (ლომბარდელი 46), ჰოფმანი, შტრასერი, ბეტმერი, კინციგერი, მუტში, პაიალი (და მოტა 64), რ. პეტერსი, რემი, კოლეტი (საგრამოლა 79)
მწვრთნელი: გი ჰელერსი
**ალბანეთი:** ბექაი, კური, დალკუ, დედე, პაჯი, ჩანა, მუკა (ჯაფა 77), შკელა (დურო 60), ბოგდანი, ბუში (ბერიშა 67), კაპლანი
მწვრთნელი: ოტო ბარიჩი
გაფრთხილება: შკელა, ბუში, რემი
მსაჯი: პაულიუს მალზინსკასი (ლიტვა)
4 325 მაყურებელი

**თანაჯგუფელი** რუმინეთისა და ბულგარეთის მსგავსად, ალბანეთმა მეორე მატჩიც მოუგო ლუქსემბურგს, რომელიც წინა შაბათს დაამარცხა.

პირველი ტაიმის შუაში შკელამ საჯარიმოდან დაბალ კუთხეში გაიტანა, ხოლო შვიდი წუთის შემდეგ ედმონდ კაპლანმა ბუშის პასს თავი შეაგება და სხვაობა გაზარდა. შესვენების შემდეგ მან ბერიშას პასიც შეირგო და დუბლი გაიფორმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუმინეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 14:4 | 17 |
| ბულგარეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 11:4 | 15 |
| ჰოლანდია | 6 | 4 | 2 | 0 | 8:2 | 14 |
| ალბანეთი | 7 | 2 | 3 | 2 | 8:6 | 9 |
| ბელარუსი | 7 | 2 | 1 | 4 | 10:15 | 7 |
| სლოვენია | 7 | 1 | 1 | 5 | 5:12 | 4 |
| ლუქსემბურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 1:14 | 0 |




# რობენის მადრიდული გზა

**მადრიდის** „რეალის“ პრეზიდენტი რამონ კალდერონი საარჩევნო დაპირებებს არ ივიწყებს. „სამეფო თეთრებმა“ მილანელი კაკას შესაძენად 60 მილიონი ევრო გაამზადეს და იმაზეც ზრუნავენ, რომ „არსენალის“ სესკ ფაბრეგასი, რაც შეიძლება, მალე ჩაიყვანონ „ბერნაბეუზე“. ახლა კი სენიორ კალდერონს არიენ რობენიც მოუნდა.

„ჩელსის“ ფეხბურთელი თავის კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებას აჭიანურებს და ამის შემხედვარე რომან აბრამოვიჩიც ჰოლანდიელის სარფიანად გასაღებაზე ფიქრობს. „ჩელსიში“ თვლიან, რომ დაინტერესებული კლუბები რობენში 18-20 მილიონ ევროს გადაიხდიან. დაახლოებით ამ ფასად მივიდა არიენი 2004 წელს პსვ-დან „სტემფორდ ბრიჯზე“.

რობენი ჟოზე მაურინიუზეა განაწყენებული. მაურინიუ ადრე არიენს ჰპირდებოდა, როგორც კი დემიენ დაფს „ნიუკასლში“ გავუშვებთ, ძირითადში ადგილი გექნებაო, თუმცა პორტუგალიელმა დანაპირები არ აასრულა.

„ჩელსის“ წარმომადგენლებმა ფეხბურთელის მამას და აგენტს ჰანს რობენს უკვე მრავალჯერ სთხოვეს; შვილი კონტრაქტის განახლებაზე დაეთანხმებინა, თუმცა აბრამოვიჩის ხალხმა უარი მიიღო.

„ვწუხვარ, რომ 2006-ში მადრიდის „რეალის“ სპორტულ დირექტორ პრედრაგ მიატოვიჩს გადასვლაზე უარი გადაჭრით ვუთხარი, თუმცა „რეალი“ ჩემთვის ყოველთვის შესანიშნავ ალტერნატივად დარჩება. თუ „ჩელსიში“ სიტუაცია არ გამოსწორდა, ესპანეთში გადასვლას არ გამოვრიცხავ“ — თქვა არიენ რობენმა „მარკასთან“ საუბარში.

პრედრაგ მიატოვიჩი ამჟამად „ჩელსისთან“ მოლაპარაკებებს აწარმოებს. გარდა ამისა, სამეფო გუნდი „ინტერიდან“ ადრიანოს ყიდვასაც აპირებს. მედიის ცნობით, მიატოვიჩი ბრაზილიელის აგენტ ჟილმარ რინალდის დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ ამ წინადადებაზე სერიოზულად იფიქრებს.

**ლადო ხომერიკი**

# ნეხვი კარის წინ

„მე კარის წინ ნეხვივით არ ვარ“ — თქვა ემანუელ ადებაიორმა, როდესაც კრიტიკოსებისგან თავის დაცვა დასჭირდა. ბუნებრივია, ფეხბურთელისთვის, რომელმაც გასულ სეზონში 12 გოლი გაიტანა და „მეთოფეებთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა, ნეხვობა არავის უკადრებია, ასეთი მხოლოდ მისი რეაქცია გახლდათ.

„ლონდონში რომ ჩამოვედი, უკვე კარგი ფეხბურთელი ვიყავი — განაგრძო 23 წლის ნიგერიული წარმოშობის ტოგოელმა — ახლა კი კიდევ უკეთესი ვარ. ამასთან, ვგრძნობ, რომ სიმწიფისთვის ჯერაც არ მიმიღწევია და უკეთესი და უკეთესი შემიძლია გავხდე. დღენიადაგ ვცდილობ, დონე ავიმაღლო. გარწმუნებთ, ჩემი შესრულებით კიდევ ბევრს გოლს ნახავთ. ვიცი, გასულ სეზონში ბევრი კარგი შანსი გავუშვი ხელიდან, მაგრამ ვარჯიშებზე მუხლჩაუხრელად ვშრომობ და ამ ნაკლსაც გამოვასწორებ“.

**ბაკურა ძიდია**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## იან რაიტი

**თავდამსხმელი**

დაიბადა 1963 წლის 3 ნოემბერს ვულვიჩში

კარიერა: 1984-85 წლები — „გრინვიჩი“, 1985-91 წლები — „კრისტალ პალასი“ (225 მატჩი, 90 გოლი), 1991-98 წლები — „არსენალი“ (221 მატჩი, 128 გოლი), 1998-99 წლები — „ვესტ ჰემი“ (22 მატჩი, 9 გოლი), 1999 წელი — „ნოტინგემი“ (10 მატჩი, 5 გოლი), 1999-2000 წლები — „სელტიკი“ (8 მატჩი, 3 გოლი), 2000 წელი — „ბარნლი“ (15 მატჩი, 4 გოლი)

1991-98 წლებში თამაშობდა ინგლისის ნაკრებში (31 მატჩი, 9 გოლი)






## FERRARI 360

გამოშვების თარიღი: 2005 წელი
სიგრძე: 4,477 მეტრი
სიგანე: 1,922 მეტრი
სიმაღლე: 1,214 მეტრი
წონა: 1 290 კგ
ცილინდრი: 8
ძრავის კუბატურა: 3,6
მექანიკური გადაცემათა კოლოფი
სიჩქარე: 295 კმ/სთ
100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,5 წამში
ფასი: 260 000 დოლარი

# თუ ფულით არა, მაშინ მუქთად
## კლოზემ ბაიერნი დაადასტურა

**მიროსლავ კლოზემ** საჯაროდ პირველად გაამხილა, რომ „ბაიერნში“ გაისად, ან შეიძლება, წლეულსაც გადავიდეს, თუ „ვერდერი“ მის სანაცვლოდ შეთავაზებულ თანხას დაჰყაბულდება.

„ვითარება არ შეცვლილა — თქვა მირომ, სლოვაკეთთან მატჩის შემდეგ — კონტრაქტი 2008 წლის ივნისში მიმთავრდება და მერე უკვე სიამოვნებით გადავიდოდი „ბაიერნში“. კლუბებმა თუ მოილაპარაკეს და ფასზე შეთანხმდნენ, ამ ზაფხულსაც სიხარულით მოვირგებდი „ბაიერნის“ მაისურას“.

„ბაიერნის“ პრეზიდენტმა კარლ-ჰაინც რუმენიგემ განაცხადა: „თუ ბრემენელები რეალურ თანხას მოითხოვენ, ტრანსფერი ამ ზაფხულსაც შესაძლებელია, მაგრამ ჩვენ არ გადავიხდით 15-20 მილიონ ევროს ფეხბურთელში, რომელსაც ერთი წლის შემდეგ კონტრაქტი უმთავრდება და უფასოდ შეგვიძლია წამოვიყვანოთ“.

### საუთგეიტმა ლავი ნახა

**მოსკოვის** ცსკა-ს ბრაზილიელი ფორვარდით, ვაგნერ ლავით „მიდლსბრო“ დაინტერესდა. გარეთ საუთგეიტი ვაგნერის სანახავად ინგლის — ბრაზილიის ამხანაგურ მატჩს დაესწრო. პრემიერლიგურ კლუბს ცვესკელი მარკ ვიდუკას შემცვლელად უნდა, რომელიც „ნიუკასლში“ გადადის.

### უგულო დაიერი

**THE JOURNAL-ის** ცნობით, „ნიუკასლის“ ნახევარმცველი კირონ დაიერი, შესაძლოა, „ჩელსიში“ გადავიდეს. ამასთანავე, ფეხბურთელის ყიდვა „ტოტენჰემსაც“ სურს, მაგრამ „ნიუკასლის“ მწვრთნელ სემ ალარდაისს მისი გაშვება მაინცდამაინც არ უნდა, მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანებში ქომაგები უგულო თამაშში ადანაშაულებდნენ.

### საუბარი გაცვლაზე

**„ლივერპული“** მზადაა, „ბარსელონას“ სამუელ ეტოოს სანაცვლოდ ხაბი ალონსო დაუთმოს — წერს „თაიმსი“. პრემიერლიგური კლუბი არ ჩქარობს კონტრაქტის გახანგრძლივებას ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველთან, რომლითაც „რეალიცაა“ დაინტერესებული.

გარდა ამისა, „ლივერპულს“ „ლაციოდან“ ბელგიელი გაბი მუდინგაის ყიდვაც უნდა.

### მამალი მარცხენა ფრთას ეძებს

**„დეილი მირორის“** ცნობით, „ტოტენჰემი“ მადრიდის „ატლეტიკოდან“ მარტინ პეტროვის შეძენას ლამობს და 8 მილიონი გირვანქის გადამხდელია. „მამლებს“ ბულგარელი ფეხბურთელით ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგის გაძლიერება უნდათ.

### მული ოთხ მილიონად

**ამსტერდამის** „აიაქსის“ ნახევარმცველი ტომ დე მული ეგებ „სევილიაში“ აღმოჩნდეს. უეფას თასის მფლობელები აიაქსელს ხუთწლიან კონტრაქტს სთავაზობენ. 21 წლის დე მული 4 მილიონი ევრო ღირს. მან გასულ სეზონში 28 მატჩი ითამაშა და 4 გოლი გაიტანა.

### დელ პიეროს მიადგნენ

**„ბარსელონა“** და „ჩელსი“ ალესანდრო დელ პიეროს მიადგნენ — წერს „გაძეტა დელო სპორტი“. 32 წლის იუვენტუსელის კონტრაქტი 2008-ში იწურება და ტურინელები გახანგრძლივებას არ ჩქარობენ.

### იყიდეთ დავიდი

**„იუვენტუსი“** დავიდ ტრეზეგეს გაყიდვას ცდილობს და ის პრემიერლიგურ კლუბებს შესთავაზა. ფრანგს დარჩენა აღარ უნდა, მისი ყიდვა „ვალენსიას“ სურდა, მაგრამ „იუვესთან“ ვერ მორიგდა, ახლა კი საუბარია „მანჩესტერზე“, „ლივერპულზე“, „არსენალსა“ და „ნიუკასლზე“.

### დიარა საინტერესოა

**ბრემენის** „ვერდერის“ მენეჯერმა კლაუს ალოფსმა განაცხადა, რომ ლიონელი ალიუ დიარათი დაინტერესდა. 25 წლის ფრანგ ნახევარმცველს ნაკრებში 12-ჯერ უთამაშია, გერმანიას კი კარგად იცნობს, რადგან ორი სეზონი გაატარა „ბაიერნის“ სათადარიგოთა გუნდში.

**გაგა ხუციშვილი**

### აშშ

მეიჯორ სოკერ ლიგა. X ტური

ტორონტო 1:2 ნიუ იორკი

### კონკაკაფის ოქროს თასი 2007

A ჯგუფი. I ტური

კოსტა რიკა 1:2 კანადა

გვადალუპე 1:1 ჰაიტი

Copa Toyota Libertadores '2007

### ლიბერტადორესის თასი 2007

1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

სანტოსი (ბრაზილია) 3:1 *გრემიო (ბრაზილია)* (0:2)

0:1 დე სოუზა (23), 1:1, 2:1 რენატინიო (45, 60), 3:1 ზე რობერტო (76)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გაიღიმეთ, ფარული ჩემპიონია!

**რობინიო ახლა ბრაზილიის ნაკრებთან ერთადაა შეკრებაზე. მადრიდული „ასის“ ჟურნალისტებმაც პენტაკამპეონთა და „სამეფო გუნდის“ ფორვარდს იქ მიაკითხეს. ფეხბურთელმა განაცხადა, რომ საუკეთესო ფორმაშია და თანამემამულე კაკას „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მოსვლასაც სიხარულით შეხვდება. „კაკამ უკვე იცის, რომ თუ სამომავლოდ კარიერის გასაგრძელებლად „რეალი“ აირჩია, მე მის მოსვლას სიხარულით შევეგებები“ — თქვა „სამეფო თეთრების“ ოკეანისგაღმელმა მოთამაშემ**



## რობინიო: თმას გავიზრდი, ოღონდ რონალდინიოს ნუ დამამტვრევინებთ

— ჩანს, რომ მშობლიურმა ნაკრებმა სახეზე ღიმილი დაგიბრუნათ...

— დიახ, აქ ყოველთვის ისეთი გარემოა, როგორიც ახლანდელ მადრიდის „რეალში“. ლა ლიგის ჩემპიონობისთვის გაფთრებულმა ბრძოლამ ჩვენ მართლა ერთ ოჯახად გვაქცია. თუმცა ბრაზილიელთათვის ნაკრებში ყოფნა უმნიშვნელოვანესია და ეს ბედნიერება ყველას გვეტყობა.

— როგორ ფიქრობთ, სანაკრებო შესვენება „რეალზე“ როგორ იმოქმედებს?

— ჩვენ ჩვენი ეროვნული გუნდების მაისურები კი მოვირგეთ, თუმცა მინდა, გითხრათ, რომ „რეალი“ და მისი მიზანი არავის დავიწყებია. ყოველ შემთხვევაში, მე ყველაფერი მშვენივრად მახსოვს... მშვენივრად ვიცი, ჩემპიონობამდე სულ ორი მატჩიღა რომ გვაშორებს და მადრიდშიც აღელვებული ვბრუნდები. როგორც მთელი „რეალი“, ისევე მეც, საბრძოლოდ ვარ განწყობილი.

— თვლით, რომ სეზონი თქვენთვის წარმატებულად დასრულდება?

— ყოველდღე გუნდს სულ უფრო ვეჩვევი და ვხედავ, რომ ფაბიო კაპელო უწინდელზე მეტად მენდობა. მე კი მწვრთნელისგან ეს ნდობა მჭირდებოდა. „რეალის“ მწვრთნელებიდან ასე კარგად მარტო ვანდერლეი ლუშემბურგოსთან ვიყავი. გუნდთან ადაპტაციისთვის რამდენიმე მატჩის ზედიზედ თამაში იყო საჭირო, თანაგუნდელების თამაშის სტილი უნდა შემესწავლა, უნდა გამეგო, ისინი მოედანზე როგორ მოძრაობდნენ. ახლა ეს ყველაფერი კარგად შევისწავლე. რაულსაც ვუგებ, ვან ნისტელროისაც, ბექჰემსაც და იმედი მაქვს, კიდევ ბევრ რამეს ვისწავლი. შესანიშნავი იქნება, მომავალი სეზონი ისე თუ დაიწყო, როგორც ეს მთავრდება.

— რობინიო თანდათან, უფრო და უფრო ევროპული ხდება?

— ალბათ კი. ყოველ შემთხვევაში, ახლა კომბინაციებში უფრო ვმონაწილეობ და სანამ ფინტის გაკეთებას განვიზრახავდე, სიტუაციას ავწონ-დავწონი ხოლმე.

— ფიქრობთ, რომ ადრე ეს თქვენი ყველაზე სუსტი მხარე იყო? ანუ ბრაზილიაში ბურთაობისას და „რეალში“ ყოფნის პირველ პერიოდში სანამ ფინტაობას დაიწყებდით, სიტუაციას ნაკლებად აფასებდით...

— მე ევროპულ ფეხბურთთან ადაპტაცია მაკლდა. ბრაზილიაში ბურთთან ურთიერთობას გაცილებით მეტ დროს უთმობენ, აქ კი პასი და ადგილის სწორად შერჩევაა უმთავრესი.

— როდის ჩათვალეთ, რომ პრიმერადივიზიონის მოგებას შეძლებდით?

— ეს კონკრეტულად ერთ რომელიმე მომენტში არ მომხდარა. უბრალოდ, როცა შედეგები გავაუმჯობესეთ, საკუთარი ძალებისა ვირწმუნეთ. „ბარსელონასთან“ „კამპ ნოუზე“ ფრემ გვაგრძნობინა, რომ მეტის მიღწევა შეგვეძლო. ვიცოდით, თუ ფარ-ხმალს დავყრიდით, წაგებულები დავრჩებოდით, ხოლო თუ ბრძოლას გავაგრძელებდით, (რაც, საბედნიეროდ, ასეც მოხდა) ოქროს მედლების მოპოვების დიდი შანსი გვექნებოდა.

— დღეს „რეალის“ შემადგენლობა უფრო მტკიცე და ერთ მუშტად შეკრულია, ვიდრე თქვენი დებიუტისას იყო?

— ასე ერთიანი იდეით ატაცებული გუნდი არასდროს მინახავს. ვიცით, რომ ისტორიულ გამარჯვებასთან ახლოს ვართ — სამწლიანი უნაყოფო პერიოდის შემდეგ „ბერნაბეუზე“ პრიმერას ოქროს ვაბრუნებთ. მეც ძალიან მომწონს ეს იდეა. პირველი მადრიდული ჯილდოს მოგება მინდა.

— თქვენი აზრით, „რეალის“ ახლანდელი კარგი და ადრინდელი უსახური ბურთაობა ფსიქოლოგიურ ფაქტორებს უკავშირდება?

— რა გითხრათ... ბიჭებს ადრინდელზე უფრო მეტ სიხალისესა და საქმისადმი პროფესიულ დამოკიდებულებას ვამჩნევ. დაძაბულობა აღარ იგრძნობა, ვარჯიშებზე ვერთობით, თუმცა საქმესაც სერიოზულად ვაკეთებთ, რა თქმა უნდა. სამუშაო უწინდელივით აღარ გვიძნელდება. ადრე, ვარჯიშის დროს გაღიმებულ სახეს იშვიათად თუ შეამჩნევდით.

— „სარაგოსასთან“ მატჩზე რას ფიქრობთ?

— ეს ჩვენი ცხოვრების მატჩია, სეზონის ყველაზე უმთავრესი შეხვედრა. თავის მოედანზე „სარაგოსას“ დამარცხება ძალიან ძნელია. იმედია, „ლა რომარედაზე“ ძალები არ მიღალატებს და საუკეთესო ფეხბურთს ვაჩვენებ.

— რას გაიღებდით ამ მატჩის მოგების სანაცვლოდ?

— თმას მოვუშვებ! ცხოვრებაში გრძელი თმა არასოდეს მქონია, მაგრამ თუ „სარაგოსა“ დავამარცხეთ, გრძელფაფრიან რობინიოსაც ნახავთ. ხუმრობის გარეშე, თუ ეს ლა ლიგა „რეალს“ დარჩა, „ბერნაბეუზე“ ახალი, ბრწყინვალე ეტაპი დაიწყება.

— ბრაზილიის ნაკრებში დანი ალვეშთან და რონალდინიოსთან ერთად ხართ. მათთან პრიმერადივიზიონის შესახებ არ გისაუბრიათ?

— როგორ არ გვისაუბრია, პრიმერაზე სულ ვლაპარაკობთ და არა მხოლოდ ესპანეთში მოთამაშე ფეხბურთელები. ყველა აღნიშნავს, რომ „რეალი“ სეზონის ბოლოს სასწაულებრივად გამოცოცხლდა.

— ოთახში თქვენთან ერთად ვინ ცხოვრობს?

— რონალდინიო.

— თქვენ აირჩიეთ?

— არა, მწვრთნელმა შეარჩია ასე. თუ გაინტერესებთ, თანაგუნდელებმა უკვე მირჩიეს, ბარსელონელს ძილის დროს რაიმე სერიოზული ტრავმა მიაყენო...

— და თქვენც დათანხმდით?

— რა თქმა უნდა... არა! მე და რონი მეგობრები ვართ და ნაკრების მაისურის ღირსებასთან ერთად ჩვენს სამშობლოსაც ვიცავთ. როგორც ბარსელონელი, რონალდინიო ჩემი „მტერია“, თუმცა ნაკრებში „სელესაოს“ გარდა სხვა ყველა საქმეს ვივიწყებთ.

— რონალდინიო ძალიან სერიოზული ხომ არ გეჩვენათ?

— ჩვეულებრივზე მეტად სერიოზულია. თუმცა, როცა ნაკრებში ხარ, უსიამოვნებებს უმალ ივიწყებ და სხვა უფრო სახალისო რამეებზე იწყებ ფიქრს. ალბათ რონიც ასე იზამს.

— კაკას შესახებ ვისაუბროთ. მილანელი ახლა ისევე იბრძვის მადრიდის „რეალში“ მოსახვედრად, როგორც თავის დროზე ამას „სანტოსში“ რობინიო აკეთებდა?

— ჩემი მაშინდელი და კაკას დღევანდელი სიტუაცია ერთმანეთისგან განსხვავდება. „სანტოსის“ პრეზიდენტი შემპირდა, რომ კლუბიდან წასვლაზე არანაირ პრობლემას არ შემიქმნიდა, თუმცა მომატყუა. „ბერნაბეუზე“ მოხვედრის სურვილის გამო უშელავათოდ მაკრიტიკებდნენ, „სანტოსში“ მოღალატის სახელიც მომაკერეს, მაგრამ მე ეს ყველაფერი ნაკლებად მაინტერესებდა — უფროსობასთან პირნათელი ვიყავი, ჩემი მთავარი მიზანი „რეალში“ მოხვედრა იყო, რაც ბრაზილიური კლუბის პრეზიდენტს ადრევე განვუცხადე. კაკა კი სულ სხვა საქმეა. იგი დიდებულ გუნდში თამაშობს, რომელმაც ახლახან ჩემპიონთა თასი მოიგო.

— ამით რისი თქმა გინდათ?

— იმის, რომ ნებისმიერ ფეხბურთელს „რეალში“ თამაშის იდეა ხიბლავს, თუმცა „ბერნაბეუზე“ მოხვედრა ხანდახან უსაშველოდ ძნელია.

— კაკამ იცის, რომ მისი შეძენით „რეალია“ დაინტერესებული?

— დიახ. „რეალის“ შესახებ რამდენჯერმე ვისაუბრეთ და კაკამ მკითხა, თუ რას აპირებდნენ მასთან დაკავშირებით მადრიდში. „რეალის“ ინტერესების გაგების შემდეგ კაკა კმაყოფილი დარჩა — ხუმრობა ხომ არაა, როცა შენს ყიდვას ასეთი სახელგანთქმული კლუბი აპირებს. თუმცა „მილანის“ წამყვანი ფეხბურთელი თავისი გუნდის თაყვანისმცემელია, „სან სიროზე“ მან საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. თანაც, „მილანში“ ძალიან კარგი ხელფასი აქვს.

— „რეალში“ გადასვლა კაკასთვის არასდროს შეგითავაზებიათ?

— კაკამ უკვე იცის, რომ თუ სამომავლოდ კარიერის გასაგრძელებლად „რეალი“ აირჩია, მე მის მოსვლას სიხარულით შევეგებები. მადრიდი მასთან ერთად დაუმარცხებელი გახდება. კაკა ბრწყინვალე ფეხბურთელი და ჩინებული პიროვნებაა.

— კიდევ რისი თქმა შეგიძლიათ თქვენს მეგობარზე?

— კაკა თავს ბედნიერად გრძნობს და შესანიშნავ ფორმაშია. ასე კარგად არასდროს უთამაშია და „ოქროს ბურთის“ კანდიდატიც ამიტომ გახლავთ. კარგის გარდა მასზე სხვა არაფერი შემიძლია ვთქვა. ბრაზილიის ნაკრებში არავის არ ჰქონია კაკასთან მისხალი პრობლემაც კი.

— რამდენიმე დღის წინ ბექჰემს ინგლისს ლონდონში შეეკრნეთ. დევიდის „ლოს ანჯელეს გალაქსისთან“ კონტრაქტზე რას გვეტყვით?

— ყველამ ვიცით ბექჰემის შესანიშნავი პროფესიონალიზმის შესახებ. ხალხს იგი თავისი ფეხბურთისა და ცხოვრების წესის გამო უყვარს. იმ მატჩისას ინგლისელ ფანთა ქცევით მოხიბლული დავრჩი — დევიდმა რამდენი საჯარიმოც დაარტყა, იმდენჯერ ოვაცია მოუწყეს — თითქოს გოლი შეეგდოს. დარწმუნებული ვარ, გაისად ბექჰემს ძალიან მოვისაკლისებთ.

— ფაბიო კაპელოს გადაწყვეტილებით, ინგლისელმა სეზონის დიდი ნაწილი სათადარიგოთა სკამზე გაატარა. თვლით, რომ კაპელო მომავალ სეზონშიც უნდა დარჩეს „რეალის“ მწვრთნელად?

— ასეთი შეკითხვით „რეალის“ ფეხბურთელს არ უნდა მიმართავდეთ. მე ვთვლი, რომ სამომავლოდ „ბერნაბეუდან“ არავინ არ უნდა წავიდეს, გუნდის გამარჯვებაში თავისი წვლილი სათითაოდ ყველა ფეხბურთელმა შეიტანა და, რასაკვირველია, ფაბიო კაპელომაც. მწვრთნელმა დაგვარწმუნა, რომ ჩემპიონობის მოგებას კიდევ შევძლებთ. არადა, ეს იმ პერიოდში გვითხრა, როცა საქმეები კარგად სულაც არ მიგვდიოდა.

— კაკას გარდა „რეალს“ დანიელ ალვეშის ყიდვაც უნდა..

— შესანიშნავი სეზონი ჩაატარა და „სელესაოშიც“ იმიტომ უხმეს. „რეალს“ კარგი მარჯვენა მცველები ჰყავს, თუმცა ალვეშს ან სისინიოს ცოტათი წინ თამაშიც შეუძლიათ.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 17:00 | 3 | ჯენოა-ნაპოლი | 2.10 | 2.90 | 3.50 | 1.21 | 1.31 | 1.58 |
| 17:00 | 8 | ლეჩე-პესკარა | 1.22 | 4.80 | 10.00 | 1.00 | 1.08 | 3.24 |
| 17:00 | 10 | პიაჩენცა-ტრიესტინა | 1.53 | 3.30 | 6.00 | 1.04 | 1.21 | 2.12 |
| 17:00 | 11 | რიმინი-მანტოვა | 2.40 | 2.90 | 2.85 | 1.31 | 1.30 | 1.43 |
| | | ესპანეთი. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 23:00 | 12 | ბეტისი-ოსასუნა | 1.65 | 3.50 | 5.10 | 1.12 | 1.24 | 2.07 |
| 23:00 | 15 | ლევანტე-ვალენსია | 3.30 | 3.20 | 2.15 | 1.62 | 1.30 | 1.28 |
| 23:00 | 16 | ატლეტიკო-სელტა | 1.70 | 3.60 | 4.70 | 1.15 | 1.24 | 2.03 |
| 23:00 | 17 | სოსიედადი-რასინგი | 1.55 | 3.60 | 5.80 | 1.08 | 1.22 | 2.22 |
| 23:00 | 18 | სარაგოსა-რეალი | 4.60 | 3.50 | 1.70 | 1.98 | 1.24 | 1.14 |
| 23:00 | 19 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.25 | 5.20 | 10.00 | 1.00 | 1.11 | 3.42 |
| 23:00 | 20 | მალიორკა-სევილია | 5.20 | 3.70 | 1.60 | 2.16 | 1.22 | 1.11 |
| 23:00 | 21 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.65 | 3.60 | 5.00 | 1.13 | 1.24 | 2.09 |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 19:00 | 13 | ხეტაფე-ტარაგონა | 1.42 | 4.00 | 7.50 | 1.04 | 1.19 | 2.60 |
| 19:00 | 14 | დეპორტივო-უელვა | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| | | ესპანეთი. II დივიზიონი | | | | | | |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 22 | სიუდადი-ლას პალმასი | 1.70 | 3.10 | 5.00 | 1.09 | 1.26 | 1.91 |
| 20:30 | 25 | ვეცინდარიო-მურსია | 2.80 | 3.10 | 2.35 | 1.47 | 1.27 | 1.33 |
| 20:00 | 27 | რეალი(ბ)-ალმერია | 1.95 | 3.40 | 3.30 | 1.23 | 1.22 | 1.67 |
| 20:30 | 29 | ელჩე-კასტელონი | 2.30 | 3.00 | 2.90 | 1.30 | 1.28 | 1.47 |
| 20:00 | 30 | ლორკა-ალავესი | 3.70 | 3.30 | 1.80 | 1.74 | 1.21 | 1.16 |
| 20:00 | 31 | მალაგა -კადისი | 2.20 | 3.00 | 3.15 | 1.26 | 1.29 | 1.53 |
| 20:30 | 32 | ეიბარ-სპორტინგი | 2.10 | 3.00 | 3.35 | 1.23 | 1.29 | 1.58 |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 20:30 | 23 | პონფერადინა-ჰერკულესი | 2.10 | 3.10 | 3.25 | 1.25 | 1.27 | 1.58 |
| 21:00 | 24 | ტენერიფე-სალამანკა | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 21:00 | 26 | სერესი-ნუმანსია | 2.10 | 3.00 | 3.30 | 1.23 | 1.28 | 1.57 |
| 21:30 | 28 | ვალიადოლიდი-ალბასეტე | 1.65 | 3.30 | 5.00 | 1.10 | 1.24 | 1.98 |
| | | დანია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 17:00 | 37 | ბრაბრანდი-ჰერფოლგე | 2.15 | 3.20 | 2.80 | 1.28 | 1.21 | 1.49 |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 15:00 | 38 | ოლსტიკე-კოლდინგი | 2.45 | 3.30 | 2.45 | 1.40 | 1.22 | 1.40 |
| 15:00 | 39 | ფრემადი-ორჰუსი ფრ | 1.90 | 3.30 | 3.40 | 1.20 | 1.21 | 1.67 |
| 15:00 | 40 | ტისტედი-ფრემი | 2.10 | 3.30 | 2.90 | 1.28 | 1.21 | 1.54 |
| 17:00 | 41 | ფრედერისია-სიონდერისკე | 2.20 | 3.30 | 2.65 | 1.32 | 1.20 | 1.46 |
| 17:00 | 42 | კიოგე-ჰელერუპი | 1.90 | 3.40 | 3.30 | 1.21 | 1.20 | 1.67 |
| 17:00 | 43 | ლიუნგბიუ-ჰაკდემსკი | 1.45 | 3.70 | 6.00 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 17:00 | 44 | ნესტვედი-ორჰუსი | 3.50 | 3.40 | 1.80 | 1.72 | 1.18 | 1.17 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 45 | სტრომსგოდსეტ-ვიკინგი | 2.55 | 3.30 | 2.55 | 1.43 | 1.27 | 1.43 |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 46 | სტაბეკი-ლინი | 2.00 | 3.30 | 3.50 | 1.24 | 1.27 | 1.69 |
| 20:00 | 47 | ტრომსიო-ალესუნდი | 1.65 | 3.50 | 5.00 | 1.12 | 1.24 | 2.05 |
| 20:00 | 48 | ვოლერენგა-ოდ გრენლანდი | 1.60 | 3.60 | 5.30 | 1.10 | 1.22 | 2.14 |
| 20:00 | 49 | რუსენბორგი-ფრედრიკსტადი | 1.35 | 4.20 | 8.00 | 1.02 | 1.15 | 2.75 |
| 22:00 | 51 | ბრანი-ლილესტრომი | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| | | 11 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 50 | სტარტი-სანდეფიორდი | 1.70 | 3.40 | 4.80 | 1.13 | 1.25 | 1.99 |
| | | ნორვეგია. I დივიზიონი | | | | | | |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 18:00 | 52 | სოგნდალი-ჰამარი | 2.70 | 3.30 | 2.40 | 1.48 | 1.27 | 1.38 |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 53 | მოსი-მანდალი | 1.50 | 3.80 | 5.30 | 1.07 | 1.16 | 2.21 |
| 20:00 | 54 | სპარტა ს-ჰიონეფოსი | 2.70 | 3.40 | 2.25 | 1.50 | 1.22 | 1.35 |
| 20:00 | 55 | ბრინი-ბოდოი გლიმტი | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| 20:00 | 56 | ჰაუგესუნდი-ნოტოდენი | 1.65 | 3.50 | 4.65 | 1.12 | 1.21 | 1.99 |
| 20:00 | 57 | ლოვ ჰამი-სკეიდი | 2.15 | 3.40 | 3.00 | 1.31 | 1.25 | 1.59 |
| 20:00 | 58 | მოლდე-ტრომსდალენი | 1.45 | 3.90 | 5.80 | 1.05 | 1.15 | 2.33 |
| 20:00 | 59 | რაუფოსი-კონგსვინგერი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | შვედეთი. ალსვენსკა | | | | | | |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 19:00 | 60 | აიკ-იორებრო | 1.65 | 3.50 | 4.70 | 1.12 | 1.22 | 2.00 |
| | | 11 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 61 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 4.70 | 3.50 | 1.65 | 2.00 | 1.22 | 1.12 |
| 21:00 | 62 | ტრელებორგი-გეფლე | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 21:00 | 63 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| | | შვედეთი. სუპერეტა | | | | | | |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 18:00 | 67 | დეგერფორსი-ჰეკენი | 3.50 | 3.30 | 1.90 | 1.69 | 1.23 | 1.20 |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 19:00 | 68 | მიალბი-ბანკეფლო | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 19:00 | 69 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 19:00 | 70 | ლიუნგსკილე-სილვია | 1.75 | 3.40 | 3.90 | 1.15 | 1.20 | 1.81 |
| | | ფინეთი. 8 ივნისი | | | | | | |
| 19:30 | 73 | ლაჰტი-ვპს | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 19:30 | 74 | ჰიკ-იარო | 1.55 | 3.60 | 5.80 | 1.08 | 1.22 | 2.22 |
| 19:30 | 75 | ვიიკინგიტი-ტურკუ | 3.70 | 3.40 | 1.80 | 1.77 | 1.21 | 1.17 |
| | | 11 ივნისი | | | | | | |
| 20:00 | 76 | ვპს-ოულუ | 2.20 | 3.30 | 2.90 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| | | ისლანდია | | | | | | |
| | | 8 ივნისი | | | | | | |
| 23:15 | 78 | ვიკინგური-ბრეიდაბლიკი | 2.05 | 3.20 | 3.30 | 1.24 | 1.26 | 1.62 |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 21:00 | 77 | ვალური-კეფლავიკი | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 23:15 | 79 | ჰაფნარფიორდური-ფილკირი | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 23:15 | 80 | კოპავოგური-ფრამი | 2.20 | 3.10 | 3.00 | 1.28 | 1.26 | 1.52 |
| 23:45 | 81 | აკრანესი-რეიკიავიკი | 2.30 | 3.00 | 2.85 | 1.30 | 1.27 | 1.46 |
| | | იაპონია | | | | | | |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 08:00 | 82 | კაშივა-ომია | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 09:00 | 83 | გამბა-იოკოჰამა ფკ | 1.22 | 4.90 | 10.00 | 1.00 | 1.08 | 3.28 |
| 10:00 | 84 | ნიიგატა-კობე | 2.10 | 3.20 | 3.00 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 10:00 | 85 | ოიტა-კაშიმა | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |
| 14:00 | 86 | იოკოჰამა ფმ-იჩიჰარა | 1.90 | 3.20 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.67 |
| 14:00 | 87 | ნაგოია-კავასაკი | 2.70 | 3.10 | 2.35 | 1.44 | 1.25 | 1.33 |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 09:00 | 88 | კოფუ-ივატა | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 11:00 | 89 | შიმიძუ-ტოკიო | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| | | აშშ | | | | | | |
| | | 9 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 93 | ჩიკაგო-ჩივასი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| 23:45 | 94 | დალასი-ლოს ანჯელესი | 1.85 | 3.30 | 3.75 | 1.18 | 1.23 | 1.75 |
| | | ოქროს თასი 2007 (აშშ) | | | | | | |
| | | 8 ივნისი | | | | | | |
| 23:45 | 237 | პანამა-ჰონდურასი | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 23:45 | 238 | მექსიკა-კუბა | 1.20 | 5.00 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.52 |
| | | ეჩ 2007 (21) | | | | | | |
| | | 10 ივნისი | | | | | | |
| 20:15 | 247 | ჰოლანდია 21-ისრაელი 21 | 1.50 | 3.50 | 6.30 | 1.04 | 1.21 | 2.25 |
| 22:45 | 248 | პორტუგალია 21-ბელგია 21 | 1.40 | 3.80 | 7.30 | 1.02 | 1.17 | 2.49 |
| | | 11 ივნისი | | | | | | |
| 20:15 | 249 | ჩეხეთი 21-ინგლისი 21 | 4.30 | 3.40 | 1.70 | 1.89 | 1.21 | 1.13 |
| 22:45 | 250 | სერბეთი 21-იტალია 21 | 5.80 | 3.50 | 1,52 | 2.18 | 1.20 | 1.05 |
| | | ჩოგბურთი კაცები Roland Garros | | | | | | |
| | | 8 ივნისი | | | | | | |
| 13:00 | 243 | ფედერერი-დავიდენკო | 1.11 | 5.00 | | | | |
| 14:00 | 253 | ნადალი-ჯოკოვიჩი | 1.05 | 5.00 | | | | |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10012 | ბეტისი-ოსასუნა | 2.10 | 2.00 | 5.50 | 1.02 | 1.51 | 1.46 |
| 10013 | ხეტაფე-ტარაგონა | 1.80 | 2.20 | 6.50 | 1.00 | 1.40 | 1.64 |
| 10014 | დეპორტივო-უელვა | 2.45 | 2.00 | 3.80 | 1.10 | 1.48 | 1.31 |
| 10015 | ლევანტე-ვალენსია | 3.70 | 2.00 | 2.55 | 1.29 | 1.50 | 1.12 |
| 10016 | ატლეტიკო-სელტა | 2.15 | 2.10 | 5.20 | 1.06 | 1.52 | 1.49 |
| 10017 | სოსიედადი-რასინგი | 1.90 | 2.20 | 6.20 | 1.01 | 1.45 | 1.62 |
| 10018 | სარაგოსა-რეალი | 5.00 | 2.10 | 2.15 | 1.47 | 1.50 | 1.06 |
| 10019 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.50 | 2.80 | 7.00 | 1.00 | 1.23 | 2.00 |
| 10020 | მალიორკა-სევილია | 5.50 | 2.00 | 2.10 | 1.46 | 1.51 | 1.02 |
| 10021 | ვილიარეალი-ბილბაო | 2.15 | 2.10 | 5.30 | 1.06 | 1.52 | 1.50 |
| 10045 | სტრომსგოდსეტ-ვიკინგი | 3.10 | 2.00 | 3.10 | 1.21 | 1.54 | 1.21 |
| 10046 | სტაბეკი-ლინი | 2.55 | 2.00 | 4.00 | 1.12 | 1.55 | 1.33 |
| 10047 | ტრომსიო-ალესუნდი | 2.05 | 2.10 | 5.55 | 1.03 | 1.49 | 1.52 |
| 10048 | ვოლერენგა-ოდ გრენლანდი | 2.00 | 2.10 | 5.70 | 1.02 | 1.48 | 1.53 |
| 10049 | რუსენბორგი-ფრედრიკსტადი | 1.75 | 2.40 | 7.00 | 1.01 | 1.39 | 1.78 |
| 10050 | სტარტი-სანდეფიორდი | 2.20 | 2.00 | 5.20 | 1.04 | 1.54 | 1.44 |
| 10051 | ბრანი-ლილესტრომი | 2.85 | 2.00 | 3.30 | 1.17 | 1.52 | 1.24 |
| 10052 | სოგნდალი-ჰამარი | 3.35 | 2.00 | 2.85 | 1.25 | 1.53 | 1.17 |
| 10053 | მოსი-მანდალი | 1.85 | 2.30 | 5.80 | 1.02 | 1.40 | 1.64 |
| 10054 | სპარტა ს-ჰიონეფოსი | 3.40 | 2.00 | 2.80 | 1.25 | 1.53 | 1.16 |
| 10055 | ბრინი-ბოდოი გლიმტი | 3.00 | 2.00 | 3.00 | 1.20 | 1.50 | 1.20 |
| 10056 | ჰაუგესუნდი-ნოტოდენი | 2.10 | 2.10 | 5.20 | 1.04 | 1.49 | 1.49 |
| 10057 | ლოვ ჰამი-სკეიდი | 2.65 | 2.00 | 3.60 | 1.13 | 1.52 | 1.28 |
| 10058 | მოლდე-ტრომსდალენი | 1.85 | 2.30 | 6.40 | 1.02 | 1.43 | 1.69 |
| 10059 | რაუფოსი-კონგსვინგერი | 3.10 | 2.00 | 3.10 | 1.21 | 1.54 | 1.21 |
| 10060 | აიკ-იორებრო | 2.10 | 2.10 | 5.30 | 1,04 | 1.50 | 1.50 |
| 10061 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 5.30 | 2.10 | 2.15 | 1.50 | 1.52 | 1.06 |
| 10062 | ტრელებორგი-გეფლე | 2.85 | 2.00 | 3.40 | 1.17 | 1.55 | 1.25 |
| 10063 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 2.85 | 2.00 | 3.25 | 1.17 | 1.51 | 1.23 |
| 10067 | დეგერფორსი-ჰეკენი | 4.00 | 2.10 | 2.35 | 1.37 | 1.48 | 1.10 |
| 10068 | მიალბი-ბანკეფლო | 2.30 | 2.10 | 4.10 | 1.09 | 1.47 | 1.38 |
| 10069 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 2.45 | 2.00 | 3.85 | 1.10 | 1.49 | 1.31 |
| 10070 | ლიუნგსკილე-სილვია | 2.20 | 2.10 | 4.40 | 1.07 | 1.46 | 1.42 |
| 10073 | ლაჰტი-ვპს | 2.05 | 2.10 | 5.80 | 1.03 | 1.51 | 1.54 |
| 10074 | ჰიკ-იარო | 1.90 | 2.30 | 6.20 | 1.04 | 1.45 | 1.67 |
| 10075 | ვიიკინგიტი-ტურკუ | 4.10 | 2.00 | 2.40 | 1.34 | 1.51 | 1.09 |
| 10076 | ვპს-ოულუ | 2.75 | 2.00 | 3.60 | 1.15 | 1.55 | 1.28 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11012 | ბეტისი-ოსასუნა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11013 | ხეტაფე-ტარაგონა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11014 | დეპორტივო-უელვა | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11015 | ლევანტე-ვალენსია | 4.80 | 10.00 | 20.00 | 5.60 | 4.40 | 4.20 | 20.00 | 10.00 | 3.30 |
| 11016 | ატლეტიკო-სელტა | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11017 | სოსიედადი-რასინგი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11018 | სარაგოსა-რეალი | 7.00 | 10.00 | 20.00 | 7.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.50 |
| 11019 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.55 | 15.00 | 30.00 | 3.40 | 4.80 | 12.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11020 | მალიორკა-სევილია | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11021 | ვილიარეალი-ბილბაო | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11045 | სტრომსგოდსეტ-ვიკინგი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11046 | სტაბეკი-ლინი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11047 | ტრომსიო-ალესუნდი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11048 | ვოლერენგა-ოდ გრენლანდი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11049 | რუსენბორგი-ფრედრიკსტადი | 1.70 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11050 | სტარტი-სანდეფიორდი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11051 | ბრანი-ლილესტრომი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11052 | სოგნდალი-ჰამარი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11053 | მოსი-მანდალი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11054 | სპარტა ს-ჰიონეფოსი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11055 | ბრინი-ბოდოი გლიმტი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11056 | ჰაუგესუნდი-ნოტოდენი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11057 | ლოვ ჰამი-სკეიდი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11058 | მოლდე-ტრომსდალენი | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11059 | რაუფოსი-კონგსვინგერი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11060 | აიკ-იორებრო | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11061 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 7.50 | 10.00 | 20.00 | 8.50 | 4.40 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.40 |
| 11062 | ტრელებორგი-გეფლე | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11063 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11067 | დეგერფორსი-ჰეკენი | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11068 | მიალბი-ბანკეფლო | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11069 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11070 | ლიუნგსკილე-სილვია | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11073 | ლაჰტი-ვპს | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11074 | ჰიკ-იარო | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11075 | ვიიკინგიტი-ტურკუ | 5.30 | 10.00 | 20.00 | 6.00 | 4.40 | 4.00 | 20.00 | 10.00 | 3.00 |
| 11076 | ვპს-ოულუ | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12012 | ბეტისი-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 12013 | ხეტაფე-ტარაგონა | 1.70 | 1.90 |
| 12014 | დეპორტივო-უელვა | 1.70 | 1.90 |
| 12015 | ლევანტე-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 12016 | ატლეტიკო-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 12017 | სოსიედადი-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 12018 | სარაგოსა-რეალი | 2.00 | 1.60 |
| 12019 | ბარსელონა-ესპანიოლი | 2.00 | 1.60 |
| 12020 | მალიორკა-სევილია | 1.90 | 1.70 |
| 12021 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.90 | 1.70 |
| 12045 | სტრიომსგოდსეტი-ვიკინგი | 2.00 | 1.60 |
| 12046 | სტაბეკი-ლინი | 1.90 | 1.70 |
| 12047 | ტრომსიო-ალესუნდი | 2.00 | 1.60 |
| 12048 | ვოლერენგა-ოდ გრენლანდი | 1.90 | 1.70 |
| 12049 | რუსენბორგი-ფრედრიკსტადი | 2.10 | 1.50 |
| 12050 | სტარტი-სანდეფიორდი | 1.90 | 1.70 |
| 12051 | ბრანი-ლილესტრიომი | 2.00 | 1.60 |
| 12052 | სოგნდალი-ჰამარი | 2.10 | 1.50 |
| 12053 | მოსი-მანდალი | 2.30 | 1.45 |
| 12054 | სპარტა ს-პიონეფოსი | 2.10 | 1.50 |
| 12055 | ბრინი-ბოდიო გლიმტი | 2.10 | 1.50 |
| 12056 | ჰაუგესუნდი-ნოტოდენი | 2.10 | 1.50 |
| 12057 | ლოვ ჰამი-სკეიდი | 2.10 | 1.50 |
| 12058 | მოლდე-ტრომსდალენი | 2.10 | 1.50 |
| 12059 | რაუფოსი-კონგსვინგერი | 2.10 | 1.50 |
| 12060 | აიკ-იორებრო | 1.70 | 1.90 |
| 12061 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 1.70 | 1.90 |
| 12062 | ტრელებორგი-გეფლე | 1.70 | 1.90 |
| 12063 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 1.70 | 1.90 |
| 12067 | დეგერფორსი-პეკენი | 1.90 | 1.70 |
| 12068 | მიალბი-ბანკეფლო | 1.90 | 1.70 |
| 12069 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 1.90 | 1.70 |
| 12070 | ლიუნგსკილე-სილვია | 1.90 | 1.70 |
| 12073 | ლაჰტი-ვპს | 1.90 | 1.70 |
| 12074 | ჰიკ-იარო | 1.90 | 1.70 |
| 12075 | ვიიკინგიტი-ტურკუ | 1.90 | 1.70 |
| 12076 | ვპს-ოულუ | 1.70 | 1.90 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13012 | ბეტისი-ოსასუნა | 1.70 | 1.90 |
| 13013 | ხეტაფე-ტარაგონა | 1.70 | 1.90 |
| 13014 | დეპორტივო-უელვა | 1.70 | 1.90 |
| 13015 | ლევანტე-ვალენსია | 1.70 | 1.90 |
| 13016 | ატლეტიკო-სელტა | 1.70 | 1.90 |
| 13017 | სოსიედადი-რასინგი | 1.70 | 1.90 |
| 13018 | სარაგოსა-რეალი | 1.60 | 2.00 |
| 13019 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.70 | 1.90 |
| 13020 | მალიორკა-სევილია | 1.60 | 2.00 |
| 13021 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.70 | 1.90 |
| 13045 | სტრიომსგოდსეტი-ვიკინგი | 1.50 | 2.10 |
| 13046 | სტაბეკი-ლინი | 1.60 | 2.00 |
| 13047 | ტრომსიო-ალესუნდი | 1.70 | 1.90 |
| 13048 | ვოლერენგა-ოდ გრენლანდი | 1.70 | 1.90 |
| 13049 | რუსენბორგი-ფრედრიკსტადი | 1.60 | 2.00 |
| 13050 | სტარტი-სანდეფიორდი | 1.70 | 1.90 |
| 13051 | ბრანი-ლილესტრიომი | 1.50 | 2.10 |
| 13060 | აიკ-იორებრო | 1.90 | 1.70 |
| 13061 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 1.70 | 1.90 |
| 13062 | ტრელებორგი-გეფლე | 1.70 | 1.90 |
| 13063 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 1.70 | 1.90 |
| 13067 | დეგერფორსი-პეკენი | 1.70 | 1.90 |
| 13068 | მიალბი-ბანკეფლო | 1.70 | 1.90 |
| 13069 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 1.70 | 1.90 |
| 13070 | ლიუნგსკილე-სილვია | 1.70 | 1.90 |
| 13073 | ლაჰტი-ვპს | 1.70 | 1.90 |
| 13074 | ჰიკ-იარო | 1.70 | 1.90 |
| 13075 | ვიიკინგიტი-ტურკუ | 1.70 | 1.90 |
| 13076 | ვპს-ოულუ | 1.70 | 1.90 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შედეგი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14012 | ბეტისი-ოსასუნა | 1.45 | 2.40 |
| 14013 | ხეტაფე-ტარაგონა | 1.20 | 2.60 |
| 14014 | დეპორტივო-უელვა | 1.75 | 2.10 |
| 14015 | ლევანტე-ვალენსია | 2.10 | 1.75 |
| 14016 | ატლეტიკო-სელტა | 1.45 | 2.40 |
| 14017 | სოსიედადი-რასინგი | 1.30 | 2.50 |
| 14018 | სარაგოსა-რეალი | 2.40 | 1.45 |
| 14019 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.08 | 2.90 |
| 14020 | მალიორკა-სევილია | 2.50 | 1.30 |
| 14021 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.45 | 2.40 |
| 14045 | სტრიომსგოდსეტი-ვიკინგი | 1.90 | 1.90 |
| 14046 | სტაბეკი-ლინი | 1.70 | 2.20 |
| 14047 | ტრომსიო-ალესუნდი | 1.45 | 2.40 |
| 14048 | ვოლერენგა-ოდ გრენლანდი | 1.30 | 2.50 |
| 14049 | რუსენბორგი-ფრედრიკსტადი | 1.20 | 2.60 |
| 14050 | სტარტი-სანდეფიორდი | 1.45 | 2.40 |
| 14051 | ბრანი-ლილესტრიომი | 1.80 | 2.00 |
| 14052 | სოგნდალი-ჰამარი | 1.95 | 1.85 |
| 14053 | მოსი-მანდალი | 1.30 | 2.50 |
| 14054 | სპარტა ს-პიონეფოსი | 2.00 | 1.80 |
| 14055 | ბრინი-ბოდიო გლიმტი | 1.85 | 1.95 |
| 14056 | ჰაუგესუნდი-ნოტოდენი | 1.45 | 2.40 |
| 14057 | ლოვ ჰამი-სკეიდი | 1.75 | 2.10 |
| 14058 | მოლდე-ტრომსდალენი | 1.20 | 2.60 |
| 14059 | რაუფოსი-კონგსვინგერი | 1.85 | 1.95 |
| 14060 | აიკ-იორებრო | 1.45 | 2.40 |
| 14061 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 2.40 | 1.45 |
| 14062 | ტრელებორგი-გეფლე | 1.80 | 2.00 |
| 14063 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 1.80 | 2.00 |
| 14067 | დეგერფორსი-პეკენი | 2.20 | 1.70 |
| 14068 | მიალბი-ბანკეფლო | 1.65 | 2.30 |
| 14069 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 1.70 | 2.20 |
| 14070 | ლიუნგსკილე-სილვია | 1.45 | 2.40 |
| 14073 | ლაჰტი-ვპს | 1.30 | 2.50 |
| 14074 | ჰიკ-იარო | 1.30 | 2.50 |
| 14075 | ვიიკინგიტი-ტურკუ | 2.30 | 1.65 |
| 14076 | ვპს-ოულუ | 1.80 | 2.00 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15012 | ბეტისი-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | ხეტაფე-ტარაგონა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | დეპორტივო-უელვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | ლევანტე-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | ატლეტიკო-სელტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15017 | სოსიედადი-რასინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15018 | სარაგოსა-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | ბარსელონა-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | მალიორკა-სევილია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | ვილიარეალი-ბილბაო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15045 | სტრიომსგოდსეტი-ვიკინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15046 | სტაბეკი-ლინი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15047 | ტრომსიო-ალესუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15048 | ვოლერენგა-ოდ გრენლანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15049 | რუსენბორგი-ფრედრიკსტადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15050 | სტარტი-სანდეფიორდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15051 | ბრანი-ლილესტრიომი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15052 | სოგნდალი-ჰამარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15053 | მოსი-მანდალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15054 | სპარტა ს-პიონეფოსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15055 | ბრინი-ბოდიო გლიმტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15056 | ჰაუგესუნდი-ნოტოდენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15057 | ლოვ ჰამი-სკეიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15058 | მოლდე-ტრომსდალენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15059 | რაუფოსი-კონგსვინგერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15060 | აიკ-იორებრო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15061 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15062 | ტრელებორგი-გეფლე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15063 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15067 | დეგერფორსი-პეკენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15068 | მიალბი-ბანკეფლო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15069 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15070 | ლიუნგსკილე-სილვია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15073 | ლაჰტი-ვპს | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15074 | ჰიკ-იარო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15075 | ვიიკინგიტი-ტურკუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15076 | ვპს-ოულუ | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## ფრეს გარეშე (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16012 | ბეტისი-ოსასუნა | 1.23 | 3.60 |
| 16013 | ხეტაფე-ტარაგონა | 1.11 | 5.70 |
| 16014 | დეპორტივო-უელვა | 1.45 | 2.45 |
| 16015 | ლევანტე-ვალენსია | 2.30 | 1.48 |
| 16016 | ატლეტიკო-სელტა | 1.24 | 3.60 |
| 16017 | სოსიედადი-რასინგი | 1.17 | 4.10 |
| 16018 | სარაგოსა-რეალი | 3.00 | 1.30 |
| 16019 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.05 | 5.70 |
| 16020 | მალიორკა-სევილია | 3.60 | 1.23 |
| 16021 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.23 | 3.60 |
| 16045 | სტრიომსგოდსეტი-ვიკინგი | 1.80 | 1.85 |
| 16046 | სტაბეკი-ლინი | 1.40 | 2.55 |
| 16047 | ტრომსიო-ალესუნდი | 1.23 | 3.60 |
| 16048 | ვოლერენგა-ოდ გრენლანდი | 1.22 | 3.40 |
| 16049 | რუსენბორგი-ფრედრიკსტადი | 1.10 | 5.50 |
| 16050 | სტარტი-სანდეფიორდი | 1.24 | 3.60 |
| 16051 | ბრანი-ლილესტრიომი | 1.62 | 2.05 |
| 16052 | სოგნდალი-ჰამარი | 1.80 | 1.80 |
| 16053 | მოსი-მანდალი | 1.14 | 4.70 |
| 16054 | სპარტა ს-პიონეფოსი | 1.80 | 1.80 |
| 16055 | ბრინი-ბოდიო გლიმტი | 1.80 | 1.85 |
| 16056 | ჰაუგესუნდი-ნოტოდენი | 1.23 | 3.60 |
| 16057 | ლოვ ჰამი-სკეიდი | 1.52 | 2.20 |
| 16058 | მოლდე-ტრომსდალენი | 1.12 | 4.60 |
| 16059 | რაუფოსი-კონგსვინგერი | 1.80 | 1.85 |
| 16060 | აიკ-იორებრო | 1.23 | 3.60 |
| 16061 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 3.30 | 1.25 |
| 16062 | ტრელებორგი-გეფლე | 1.55 | 2.20 |
| 16063 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 1.62 | 2.05 |
| 16067 | დეგერფორსი-პეკენი | 2.40 | 1.45 |
| 16068 | მიალბი-ბანკეფლო | 1.32 | 3.00 |
| 16069 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 1.40 | 2.55 |
| 16070 | ლიუნგსკილე-სილვია | 1.25 | 3.40 |
| 16073 | ლაჰტი-ვპს | 1.22 | 3.40 |
| 16074 | ჰიკ-იარო | 1.17 | 4.10 |
| 16075 | ვიიკინგიტი-ტურკუ | 2.45 | 1.40 |
| 16076 | ვპს-ოულუ | 1.55 | 2.20 |

## გოლი: ლუწი-1 თუ კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17012 | ბეტისი-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17013 | ხეტაფე-ტარაგონა | 1.85 | 1.95 |
| 17014 | დეპორტივო-უელვა | 1.85 | 1.95 |
| 17015 | ლევანტე-ვალენსია | 1.85 | 1.95 |
| 17016 | ატლეტიკო-სელტა | 1.85 | 1.95 |
| 17017 | სოსიედადი-რასინგი | 1.85 | 1.95 |
| 17018 | სარაგოსა-რეალი | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ბარსელონა-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17020 | მალიორკა-სევილია | 1.85 | 1.95 |
| 17021 | ვილიარეალი-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 17045 | სტრიომსგოდსეტი-ვიკინგი | 1.85 | 1.95 |
| 17046 | სტაბეკი-ლინი | 1.85 | 1.95 |
| 17047 | ტრომსიო-ალესუნდი | 1.85 | 1.95 |
| 17048 | ვოლერენგა-ოდ გრენლანდი | 1.85 | 1.95 |
| 17049 | რუსენბორგი-ფრედრიკსტადი | 1.85 | 1.95 |
| 17050 | სტარტი-სანდეფიორდი | 1.85 | 1.95 |
| 17051 | ბრანი-ლილესტრიომი | 1.85 | 1.95 |
| 17052 | სოგნდალი-ჰამარი | 1.85 | 1.95 |
| 17053 | მოსი-მანდალი | 1.85 | 1.95 |
| 17054 | სპარტა ს-პიონეფოსი | 1.85 | 1.95 |
| 17055 | ბრინი-ბოდიო გლიმტი | 1.85 | 1.95 |
| 17056 | ჰაუგესუნდი-ნოტოდენი | 1.85 | 1.95 |
| 17057 | ლოვ ჰამი-სკეიდი | 1.85 | 1.95 |
| 17058 | მოლდე-ტრომსდალენი | 1.85 | 1.95 |
| 17059 | რაუფოსი-კონგსვინგერი | 1.85 | 1.95 |
| 17060 | აიკ-იორებრო | 1.85 | 1.95 |
| 17061 | ბრომაპოიკარნა-მალმიო | 1.85 | 1.95 |
| 17062 | ტრელებორგი-გეფლე | 1.85 | 1.95 |
| 17063 | ჰალმსტადი-ჰამარბი | 1.85 | 1.95 |
| 17067 | დეგერფორსი-პეკენი | 1.85 | 1.95 |
| 17068 | მიალბი-ბანკეფლო | 1.85 | 1.95 |
| 17069 | ატვიდაბერგი-ენჩიოპინგი | 1.85 | 1.95 |
| 17070 | ლიუნგსკილე-სილვია | 1.85 | 1.95 |
| 17073 | ლაჰტი-ვპს | 1.85 | 1.95 |
| 17074 | ჰიკ-იარო | 1.85 | 1.95 |
| 17075 | ვიიკინგიტი-ტურკუ | 1.85 | 1.95 |
| 17076 | ვპს-ოულუ | 1.85 | 1.95 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველო და ორი ჯუჯა

## ლუქსემბურგმა და ისლანდიამ ბანაკი დასცეს



ისლანდიის ნაკრები ჯუჯათა შორის გოლიათია

საქართველოს ნაკრები მომავალ თვეში შეიკრიბება და საკვალიფიკაციო მატჩებისთვის დაიწყებს მზადებას. ჩვენი ორი მეტოქე კი უკვე შეუდგა საქმეს, თუმცა ამის მიზეზი სულ სხვა ტურნირია.

4 ივნისს მონაკოში გაიხსნა ევროპის ჯუჯა ქვეყნების თამაშები, სადაც სხვებთან ერთად საქართველოს მომავალი მეტოქეები — ისლანდია და ლუქსემბურგიც მონაწილეობენ. სპორტის სხვა სახეობებთან ერთად, მონაკოში საკალათბურთო ტურნირიც ტარდება და ორი ტურის შემდეგ იქ ასეთი ვითარებაა:

გათამაშებას ორ-ორი გამარჯვებით ლიდერობენ კვიპროსი და ისლანდია და, სავარაუდოდ, ჩემპიონიც მათ შორის გამოვლინდება. ისლანდიამ პირველ მატჩში ანდორა გაანადგურა 30 ქულით, ხოლო შემდეგ ლუქსემბურგის წინაამდეგ ჩვენთვის საინტერესო შეხვედრაც გამართა.

ლუქსემბურგელებს ლამარ ჯონსი ხომ ჰყავთ და ახლა სხვა ამერიკელიც შეუმატებიათ. ლარი სმიტი ფორვარდია და ტენესის უნივერსიტეტში თამაშობს. ის ლუქსემბურგელებს გვარიანად დაეხმარა ტურნირის პირველ მატჩში, როცა სან მარინოს 41 ქულა ჩაუგდო. ის შეხვედრა ბენილუქსელებმა 81:70 მოიგეს, თუმც მეორე ტურში მათ სმიტმაც ველარ უშველა.

ისლანდიამ ყველა კომპონენტში დაჯაბნა ლუქსემბურგი და საბოლოოდ 30 ქულითაც იმარჯვა. ისლანდიელებს არ ჰყავთ ამერიკელი, მაგრამ ლოგი გუნარსონი ბევრ ოკეანგაღმელს სჯობს. ის ესპანური პრიმერადივიზიონის გუნდ „ხიხონში" გამოდის და განსაკუთრებით კარგად ესვრის სამქულიანებს. გუნარსონმა ლუქსემბურგელებს 5 შორი სროლა ჩაუგდო და საბოლოოდ 21 ქულას მოუყარა თავი, მისმა ისლანდიამ კი 92:62 იმარჯვა.

ლუქსემბურგი ჯგუფში კიდევ უნდა ეთამაშოს ანდორას, კვიპროსს და მონაკოს, ხოლო ისლანდია სან მარინოს, კვიპროსსა და მონაკოს. შეგახსენებთ, რომ ამათ გარდა ქართველთა საკვალიფიკაციო მეტოქეები იქნებიან ფინეთისა და ავსტრიის ნაკრებები, რომლებსაც აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში ვეთამაშებით.

**ირაკლი პერტაია**

# მეხუთე და სამართალი

## მარკოიშვილი ოლიმპიას სკამიდან ეხმარება



**ტრავმირებული** მანუჩარ მარკოიშვილი სათადარიგო სკამიდან ეხმარება თავის „ოლიმპიას", რომელიც ცდილობს, უფულობითა და ტრავმიანობით დაჩაჩანაკებულმა სლოვენიის ჩემპიონობა შეინარჩუნოს.

ოლიმპიელები 1:2 აგებდნენ ფინალურ სერიას „ჰელიოსთან" და გუშინწინდელი მატჩის წაგების უფლება არ ჰქონდათ. ლიუბლიანელებმა შინ დაძაბულ ბრძოლაში მოუგეს მეტოქეს და სერიაში ანგარიში გაათანაბრეს — 2:2.

მატჩი სულ თანაბარი იყო და ბოლო წუთებზე გადაწყდა მისი ბედი. ოლიმპიელები შინ თამაშობდნენ და შედეგზე ალბათ ამანაც იქონია გავლენა. ბოლო მომენტში „ჰელიოსის" მოთამაშეებს თვითრწმენა არ ეყოთ, რათა ისტორიაში პირველი ტიტული მოეპოვებინათ — რაც იუგოსლავიას გამოეყო, სლოვენიაში ხომ არავინ ყოფილა ჩემპიონი „ოლიმპიასა" და „კრკას" გარდა.

„ოლიმპიას" მარკოიშვილის გარდა კიდევ 2 ლიდერი — ტეემუ რანიკო და დომენ ლორბეკი ეჯდა სკამზე და ტრავმის გამო ვერ იყენებდა. ასე მამასისხლად მიიყვანეს ლიუბლიანელებმა საქმე მეხუთე, გადამწყვეტ მატჩამდე და რა მოხდება 10 ივნისს დომჟალეში, არავინ იცის. ვინც მოიგებს, ჩემპიონია.

**ირაკლი პერტაია**

# ვეიდი ნოემბერში



**მაისში** ერთბაშად ოროპერაციაგადატანილ დუეინ ვეიდს ექიმებმა სარეაბილიტაციოდ 5 თვე დაუდგინეს. რეგულარული ჩემპიონატიც ზუსტად 5 თვეში იწყება და ამ ხანში „მაიამი ჰითის" ლიდერი ბოლომდე მოიშუშებს მუხლსაც და მხარსაც.

„ცხადია, ზუსტად ვერავინ მეტყვის, როდის გავალ მოედანზე, მაგრამ იმედი მაქვს, ნოემბრის დასაწყისში უპრობლემოდ შევძლებ თამაშს და ჩემს გუნდსაც სეზონის დაწყებიდანვე დავეხმარები" — ამბობს ვეიდი.

24 წლის კალათბურთელს არაფერი უთქვამს საკალათბურთო გეგმებზე, ანუ რას გამოელის მომდევნო სეზონისგან. განვლილი კი მასაც და მის გუნდსაც, კიდევ გავიხსენოთ და, ჩაუფლავდათ. 2006 წელს გაჩემპიონებულმა „მაიამიმ" პლეი ოფში პირველივე შემხვედრ „ჩიკაგოსთან" 0:4 წააგო სერია და ასე დაასრულა პირველი ტიტულის დაცვა.

# დონოვანს სტუდენტობა სურს

**როგორც** ამერიკული ტელეარხი იესპიენი იუწყება, „ორლანდო მეჯიქი" მზადაა, გაწყვიტოს ახლახანგაფორმებული კონტრაქტი ბილი დონოვანთან და ამ მწვრთნელს სტუდენტურ კალათბურთში დაბრუნების უფლება მისცეს. როგორც ცნობილია, დონოვანს ფლორიდის უნივერსიტეტში სურს მუშაობა, სადაც მას აქამდე არაერთი წელი გაუტარებია. ორლანდოელები კონტრაქტს ხომ გაუწყვეტენ დონოვანს და მას პირობასაც დაუდებენ, რომლის ძალითაც 5 წელიწადს ნბა-ში მუშაობა აღარ შეეძლება — აცხადებენ ამერიკელი ჟურნალისტები. ფლორიდულმა კლუბმა დონოვანის შემცვლელიც მონახა, „ჰიუსტონის" ყოფილი თავკაცი ჯეფ ვან განდი.

# ნახბარმა სლოვენია იუარა



**„ნიუ ჯერსის"** სლოვენიელმა ფორვარდმა ბოსტიან ნახბარმა ეროვნულ ნაკრებში თამაში იუარა. ბალკანელები სექტემბერში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ, ნახბარს კი უნდა, ეს დრო ნბა-ს მორიგი სეზონისთვის მოსამზადებლად გამოიყენოს. მას დამდეგი სეზონის ბოლოს კონტრაქტი უმთავრდება და სურს, მაგრად წარმოაჩინოს თავი, რათა უკეთესი ხელშეკრულებას გამოჰკრას ხელი.



# აბუსერიძემ ბუქარესტში უცხოპლანეტელები ნახა

რაგბის საერთაშორისო საბჭოს მიერ ბუქარესტში მოწყობილ სადებიუტო ერთა თასზე საქართველოს ნაკრებმა ნამიბიას 26:18 რომ მოუგო, გუშინწინდელი ამბავია. წლევანდელ მსოფლიოს თასზე ნამიბია ქართველების მთავარი მეტოქეა. მათი დამარცხება ჩვენთვის მინიმუმიცაა და მაქსიმუმიც. ნამიბიის წინაალმდეგ ჩვენებს პირველად უკაპიტნა 30 წლის ირაკლი აბუსერიძემ, რომლისთვისაც ეს მე-40 სანაკრებო მატჩი იყო, ხოლო რაც ნაკრები შეიქმნა, რიგით მე-17 კაპიტანი გახდა.

„აბუს" ბუქარესტში დავუკავშირდით და ნამიბიასთან მატჩის გარდა 10 ივნისს სამხრეთ აფრიკის 23-წლამდელთა ნაკრებთან გასამართ შეხვედრაზეც ვესაუბრეთ



— ნამიბიასთან მატჩში ძირითადი შემადგენლობის ცხრა მორაგბე გვაკლდა, მალხაზ ურჯუკაშვილი, ბესიკ ხამაშურიძე და ზურაბ მჭედლიშვილი კი შეცვლაზე შემოვიდნენ. აქედან გამომდინარე, ნამიბიას ლამის სათადარიგო გუნდით ვეთამაშეთ. მეტოქეს კი, თუ არ ვცდები, მხოლოდ ორი-სამი კაცი აკლდა, რაც ჩვენს დანაკლისთან მოსატანიც არაა. მატჩი მართლაც საინტერესო და დაძაბული გამოვიდა. თუ არ ჩავთვლით პირველ ტაიმში ერთ ხუთწუთიან მონაკვეთს, უპირატესობას თავიდან ბოლომდე ჩვენ ვფლობდით. ეგაა, ეს უპირატესობა რიგიანად ვერ გამოვიყენეთ და შეტევაში იმდენჯერ შევცდით, მგონი, აქამდე ერთად აღებული არ დაგვიშვია ამდენი შეცდომა. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, მაინც მოვიგეთ, რაც ნაკრების პოტენციალზე და კარგ რეზერვზე მიანიშნებს.

— შეტევაში დაშვებული შეცდომები ნერვიულობის ბრალი იყო თუ გამოუცდელობის?

— თავიდან მართლაც ვნერვიულობდით, მაგრამ მერე დავწყნარდით და ჩვენი თამაში ვითამაშეთ, შეცდომები კი შეუთამაშებლობის ბრალი უფრო იყო. თანაც სასტარტო შემადგენლობაში თორმეტი ძირითადი მორაგბე გვაკლდა...

— ესე იგი მსოფლიო თასზე ნამიბიას უნდა მოუგოთ?

— ასე გამოდის. მართალია, იქამდე ნამიბია მოუმატებს, მაგრამ არა მგონია, იმდენი შეძლოს, რომ ამაზე ბევრად უკეთ ითამაშოს. თანაც მსოფლიოს თასზე ჩვენც ძირითადი შემადგენლობით ვიქნებით და ნაყოფიერი შეკრებებიც გვექნება გავლილი.

— მომდევნო მატჩი სამხრეთ აფრიკის 23-წლამდელთა ნაკრებთან გაქვთ...

— ნამიბიასთან მატჩის შემდეგ სამხრეთ აფრიკა — რუმინეთს სტადიონზე ვუყურეთ. ახალგაზრდები ეძახე და რუმინეთის ძირითად ნაკრებს 61:7 გადაუურბინეს. ძალიან მაგრად თამაშობენ, რობინ ჰუდის ისრებივით დაქრიან. თბილისიდან თუ ჩამოხვალთ და დაგვეხმარებით, თორე მათთან შანსი არ გვაქვს. ჩვენ სხვა პლანეტაზე ვართ, ისინი სხვაზე.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# შვიდნი შვიდეულში

## ევროპამ მსოფლიო დათვალა



ზაზა კედელაშვილი წონის ლიდერია

| | | |
|---|---|---|
| **60 კგ** | | |
| 1. | ჰოვანეს დავთიანი (სომხეთი) | 260 |
| 2. | რუსლან კიშმახოვი (რუსეთი) | 171 |
| 3. | ნიჰათ შიხალიზადე (ირანი) | 154 |
| 6. | ნესტორ ხერგიანი (საქართველო) | 126 |
| 16. | ვახტანგ ხოსიტაშვილი (საქართველო) | 60 |
| 37. | დავით ასუმბანი (საქართველო) | 27 |
| **66 კგ** | | |
| 1. | ზაზა კედელაშვილი (საქართველო) | 227 |
| 2. | დექს ელმონი (ჰოლანდია) | 200 |
| 3. | ბენჟემინ დარბალე (საფრანგეთი) | 190 |
| 17. | მინდია ხომიზური (საქართველო) | 50 |
| 80. | სერგო ციხელაშვილი (საქართველო) | 5 |
| **73 კგ** | | |
| 1. | სალამუ მეჯიდოვი (რუსეთი) | 230 |
| 2. | ელნურ მამადლი (აზერბაიჯანი) | 175 |
| 3. | სეზარ ჰუისუზი (თურქეთი) | 164 |
| 6. | დავით ქევხიშვილი (საქართველო) | 113 |
| 52. | დავით მარგოშვილი (საქართველო) | 18 |
| **81 კგ** | | |
| 1. | სერგეი შუნძიკაუ (ბელარუსი) | 180 |
| 2. | ჯილომ ელმონი (ჰოლანდია) | 160 |
| 3. | მეჰმან აზიზოვი (აზერბაიჯანი) | 150 |
| 7. | გრიგოლ მამრიკიშვილი (საქართველო) | 117 |
| 14. | გიორგი ბაინდურაშვილი (საქართველო) | 84 |
| 23. | საბა გავაშელიშვილი (საქართველო) | 44 |
| 37. | გრიგოლ შინჯიკაშვილი (საქართველო) | 26 |
| **90 კგ** | | |
| 1. | ილიას ილიადისი (საბერძნეთი) | 290 |
| 2. | ირაკლი ცირეკიძე (საქართველო) | 184 |
| 3. | ანდრეი კაზუსიონაკი (ბელარუსი) | 162 |
| 27. | ზურაბ ზვიადაური (საქართველო) | 25 |
| 35. | მინდია გოდაველი (საქართველო) | 20 |
| **100 კგ** | | |
| 1. | დანიელ ჰადფი (უნგრეთი) | 254 |
| 2. | რუსლან გასიმოვი (რუსეთი) | 205 |
| 3. | არიელ ზეევი (ისრაელი) | 150 |
| 5-6. | ლევან ჟორჟოლიანი (საქართველო) | 130 |
| 5-6. | ლევან რაზმაძე (საქართველო) | 130 |
| 18. | გიორგი ყიზილაშვილი (საქართველო) | 55 |
| **+100 კგ** | | |
| 1. | ტამერლან ტმენოვი (რუსეთი) | 230 |
| 2. | ანდრეას ტოლცერი (გერმანია) | 180 |
| 3. | ალექსანდრ მიხაილინი (რუსეთი) | 175 |
| 6. | ზვიად ხანჯალიაშვილი (საქართველო) | 125 |
| 7. | ლაშა გუჯეჯიანი (საქართველო) | 120 |
| 22. | ადამ ოქრუაშვილი (საქართველო) | 47 |

**ამ დღეებში** ევროპის ძიუდოს კავშირმა ბოლო ორი წლის ტურნირების შედეგები ერთხელაც დააჯამა და ახალი რეიტინგსია გამოაქვეყნა. ათვლა შარშანდელი სეზონის გამხსნელი ტურნირით — თბილისის მსოფლიოს თასით იწყება და ახლახან ჩატარებული ბუქარესტის მსოფლიოს თასით სრულდება. თუმცა ორწლიანი ციკლის ბოლომდე კიდევ ოთხი ტურნირია, ოთხივე საშემოდგომო — სექტემბერში რიო დე ჟანეიროში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატს ოქტომბერ-ნოემბერში ბაქოსა და ბირმინგემის მსოფლიოს თასები და როტერდამის სუპერთასი მოჰყვება. საბოლოო რეიტინგამდე ჯერ შორია და ბევრი რამ კიდევ შეიცვლება. ამ დროისთვის კი კაცთა შვიდივე წონით კატეგორიაში ქართველები შვიდეულში შედიან.

საუკეთესო ადგილი ზაზა კედელაშვილს უჭირავს. ევროპის ორგზის ჩემპიონის ანგარიშზე 227 ქულაა და 66 კილოგრამში ეს სალიდერო მაჩვენებელია. ირაკლი ცირეკიძე (90კგ) 184 ქულით მეორეა თავის წონაში. იგი მხოლოდ ილიას ილიადისს ჩამორჩება. ბერძნული გვარ-სახელით მოჭიდავე ჯარჯი ზვიადაურის მარაგში 290 ქულაა, რაც ყველა წონითი კატეგორიის საუკეთესო შედეგიცაა.

100-კილოგრამიანი ლევან ჟორჟოლიანი და ლევან რაზმაძე მეხუთე-მეექვსე ადგილებს ინაწილებენ 130-130 ქულით. ნესტორ ხერგიანი (60კგ), დავით ქევხიშვილი (73კგ) და ზვიად ხანჯალიაშვილი (+100კგ) ექვსეულის ბოლოს დგანან, ხოლო გრიგოლ მამრიკიშვილი (81კგ) მეშვიდეა. აქვე ვთქვათ, რომ მამრიკიშვილი მძიმე ტრავმის გამო ტატამზე ზამთრის შემდეგ არ გასულა.

ქულები ქალებშიც თავიდან დათვალეს, მაგრამ კაცებისგან განსხვავებით, აქ ჩვენებურთა შედეგიანობით ნაკლებად გვაქვს საამაყო. ყველაზე მაღლა — 35-ე ადგილზე მძიმეწონოსანი მარიამ ჩადუნელი დგას. აქვე ვთქვათ, რომ ამ წონას რუსეთის სახელით მოჭიდავე თეა დონღუზაშვილი ლიდერობს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

აფროსნობა





AFP

# ახალზელანდიელებმა იტალიური პირაგუა ჩაძირეს

5:0 — ასეთი ანგარიშით დასრულდა ლუი ვუტონის თასის ფინალი. იტალიურმა „ლუნა როსამ" კინკილა მოგებაც ვერ დასტყუა ახალზელანდიურ „თიმ ნიუ ზილენდს" და ხუთ გაცურვაში ხუთი მარცხით შეირცხვინა თავი.

იტალიელთა კოშმარი ოთხშაბათს დასრულდა. მათ ბოლოჯერ გაიბრძოლეს და თითქოს ახლოსაც მიცურდნენ გამარჯვებასთან, მაგრამ ბოლოს მაინც დააკლდათ ის ცოტაოდენი რამ, რაც მუდამ აკლდებოდათ და რაც გამარჯვებაში ხელს უშლიდა. რა არის ეს „რაღაც", ამაზე იტალიელები ვერაფერს ამბობენ, ხოლო მათი მძლეველთა ბანაკიდან ასეთი ხმა გამოვიდა — მაგათ მთელი ემოცია და ენერგია ნახევარფინალში ამერიკულ „ბმვ ორეკლს" დახარჯეს და ჩვენთან ისეთი გამოცარიელებულები იყვნენ, როგორც ველურების ერთიანი ხისგან გამოჩორკნილი პირაგუაო.

ამ „გამოჩორკნილ პირაგუას" — რომლის წლიური ბიუჯეტიც სხვათა შორის არაერთი ათეული მილიონია — სულ რამდენიმე წამი დააკლდა ოთხშაბათს. პირველი მოსახვევის დაძლევის შემდეგ „ლუნა როსამ" ოციოდ მეტრითაც ანუ დაახლოებით ერთი იახტის კორპუსით ჩამოიტოვა „ნიუ ზილენდი", მაგრამ, როგორც წინა გაცურვებში, იტალიელები თანდათან ჩამორჩნენ ახალზენადიელებს და საბოლოოდ 22 წამით „დააგვიანეს" ფინიშთან.

გამარჯვებულებმა კი ნავზევე ატეხეს დიდი ზეიმი და ხვევნა-კოცნა. აქამდე თავის ფლეგმატურობით და საქმეში ჩაფლულობით გამორჩეული კუნძულელები ერთმანეთს ახტებოდნენ და ამ რია-რიაში ლამის ნავიც გადააყირავეს. მერე კი ზეიმი მიწაზე გააგრძელეს.

ახლა „თიმ ნიუ ზილენდს" ლუი ვუტონის თასის ზეალმართვის შემდეგ სრული უფლება აქვს, ბრძოლაში გამოიწვიოს სპორტის ისტორიაში უძველესი გათამაშების, ამერიკის თასის მფლობელი, შვეიცარიული „ალინგი" და რევანშიც აუღოს 2003 წელს შინაურ ოკლენდში 1:5 დამარცხებისთვის. ზელანდიელთა და შვეიცარიელთა (მგონი, იახტის ეკიპაჟში შვეიცარიელი არავინაა) დუელი 23 ივნისს დაიწყება.

**კოტე ყორშია**

მძლეოსნობა

# შემდეგი გაჩერება ოსლო

## ასაფა პაუელი ოქროს ლიგის კაპიტალია

**გუშინ** მონტე კარლოში იააფის შტაბბინაში მძლეოსნობის ყველაზე „ფულიანი სერიალის", ოქროს ლიგის საბოლოო კალენდარი შედგა. ოქროს ლიგა 15 ივნისს ტრადიციულად ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში გაიხსნება და ევროპის კიდევ ხუთ ქალაქს მოივლის.



აგრეთვე დადგინდა ის სახეობები, რომელთა წარმომადგენლებიც წლეულს მილიონ დოლარად ფასდადებულ ოქროს ზოდებს გაათამაშებენ. მილიონის ოქროისთვის ბრძოლას შეძლებენ კაცთა და ქალთა 5-5 პრივილეგირებული სახეობების წარმომადგენლები.

კაცთა ოქროს სახეობებია — 100 მეტრი, 1 500 მეტრი, 110 მეტრი თარჯრბენი, სამხტომი და შუბის ტყორცნა.

ქალთა — 100 მეტრი, 400 მეტრი, 100 მეტრი თარჯრბენი, სიმაღლეზე ხტომა, ჭოკით ხტომა.

უკვე გადაწყვეტილია, რომ ლიგას თავისი გამოსვლით გააბედნიერებს 2006 წლის საუკეთესო მორბენალი ასაფა პაუელი, რომელმაც თავისთვის ერთ ოქროსფერ ზღაპარს დამსგავსებულ შარშანდელ სეზონში ბევრ სხვა გამარჯვებათა შორის ოქროს ლიგის ექვსივე ეტაპიც მოიგო და ოქროებიც მოიხვეჭა. მსოფლიოს უსწრაფეს ადამიანს ამას წინათ სეზონის დებიუტი ჰქონდა სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში და იქ დამაკმაყოფილებელი შედეგი აჩვენა — 100 მეტრი 9,97 წამში დაფარა, რაც სეზონის რეკორდია. „იმ მოგებით ბედნიერი ვარ. 9,97 წამი, რა თქმა უნდა, კარგი შედეგია, მაგრამ იმედი მაქვს, კიდევ მოვუმატებ და 15 ივნისს 9,90-შიც ჩავეტევი — ამბობს პაუელი — მაშ, შემდეგი გაჩერება ოსლოშია."

**კოტე ყორშია**

| ოქროს ლიგა 2007 | |
|---|---|
| 15 ივნისი | ოსლო (ნორვეგია) |
| 16 ივლისი | პარიზი (საფრანგეთი) |
| 13 ვილისი | რომი (იტალია) |
| 7 სექტემბერი | ციურიხი (შვეიცარია) |
| 14 სექტემბერი | ბრიუსელი (ბელგია) |
| 16 სექტემბერი | ბერლინი (გერმანია) |

# როლან გაროსი 2007

პარიზი. 27 მაისი – 10 ივნისი. საპრიზო 13 422 080 €

# ანამ მარიას, ჟუსტინმა ელენას...

## ნახევარფინალები: ცალკორტა და ნახევართამაშა

7 ივნისი

ქალები

მეოთხედფინალი

ანა ივანოვიჩი (7, სერბეთი) — მარია შარაპოვა (2, რუსეთი) 6:2 6:1; ჟუსტინ ენინი (1, ბელგია) — ელენა იანკოვიჩი (4, სერბეთი) 6:2 6:2



მარია შარაპოვა უშანსოდ დამარცხდა

**ვერ** გაამართლა იმედები წლის მეორე სლემტურნირზე გამართულმა ქალთა ნახევრფინალებმა. გადამწყვეტ ეტაპებზე ყველა თანაბარ, დაძაბულ და დრამატულ სანახაობას ელის, სადაც მატჩის ბედი კარგა ხანს სასწორზე უნდა ქანაობდეს და არ უნდა ჩაქრეს ნაპერწკალი, რომელიც თანდათან აგიზგიზდება და მაყურებელს დიდი ხნით დააინტრიგებს. თუმცა გუშინ ამის ნასახიც არ ყოფილა — ნახევარფინალებში იმდენად არათანაბარი ძალები იყო, რომ მატჩებმა ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე ჩაიარა.

თუ ჟუსტინ ენინ-ელენა იანკოვიჩის შეხვედრისგან ამდგავარ სცენარს მეტ-ნაკლებად ელოდნენ, სრულ მოულოდნელობად იქცა ანა ივანოვიჩის აბსოლუტური უპირატესობა მარია შარაპოვასთან შეხვედრაში. 20 წლის სერბმა გუშინ უდავოდ კარიერის საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა და რუსი პრიმა უადვილესად გადათელა. მაშა თიხნარზე რომ ვერ თამაშობს, ახალი ამბავი არ გახლავთ, მაგრამ ასეთი უსუსური შარაპოვას ნახვა მაინც მოულოდნელობა იყო. თუმცა ამ ბოლოს დროს მარიას ცუდად დასჩემდა მატჩების უკბილოდ წაგებები — თუნდაც იანვარში სერენა უილიამსთან ავსტრალიის ღია პირველობის ფინალი რად ღირს, როდესაც შარაპოვა თითქმის უბრძოლველად დანებდა.

ახლაც ზუსტად იგივე ვიხილეთ — რუსმა ვერ შეძლო გარდატეხის შეტანა. თუმცა მოდით ივანოვიჩსაც ნუ დავუკარგავთ გარჯას, რადგანაც სერბმა ლამის იდეალური ჩოგბურთი ითამაშა. უკანა ხაზიდან მძლავრი დარტყმებითა და ჭკვიანური შეტევებით ანამ შარაპოვა ისე დაშოკა, რომ რუსმა აურაცხელი რაოდენობის შეცდომები დაუშვა.

ყოველივე ამის ლოგიკური შედეგი კი შარაპოვას განადგურება გახლდათ:

„მართლა კარგად ვითამაშე. ვიცოდი, რომ აგრესია არ უნდა მომკლებოდა, რადგანაც ამას მე თუ არ ვიზამდი, მარია გააკეთებდა. ამიტომაც ინიციატივა თავიდანვე ავიღე ხელში, რამაც აშკარად გაამართლა. ფინალს მოუთმენლად ველი“ — ყურებამდე იღიმებოდა ნამატჩევს ივანოვიჩი.

შანსი იყო, წმინდა სერბული ფინალი გვენახა, მაგრამ სულ სხვა აზრი აღმოაჩნდა ენინს, რომელიც კარიერაში მეოთხე და ზედიზედ მესამე „როლან გაროსის“ მოგებას უმიზნებს. იანკოვიჩთან ჭინკა ბელგიელს პირადი შეხვედრების მშვენიერი სტატისტიკა კი ჰქონდა — 5:0 ჟუსტინის სასარგებლოდ, მაგრამ კარგ ფორმაში მყოფ ბალკანელს ეგრე იოლად თუ გაუსწორდებოდა, ვერავინ იფიქრებდა. აქამდე იანკოვიჩი ბრძოლაში მაინც აგებდა ხოლმე (ხუთივე შეხვედრაში სამ სეტში წააგო), მაგრამ ახლა სახის შენარჩუნებაც ვერ შეძლო და პირწმინდად განადგურდა. ენინმა კი კიდევ ერთხელ დამტკიცა, რომ დღეისთვის ქალთა შორის გრუნტზე მისი დარი მეჩოგნე არ არსებობს და აკი ფინალსაც უპირობო ფავორიტის სტატუსით ხვდება.

**კახა ლომაშვილი**

# ბებრის ყვავილობა



**იონას ბიორკმანი** ყოველთვის წყვილთა მოთამაშედ უფრო ითვლებოდა და ერთეულთა თანრიგში განსაკუთრებული წარმატებები არასოდეს ჰქონია. თუმცა 35 წლის ვეტერანი ამგვარ სოლიდურ ასაკში ამ ფრონტზეც საკმაოდ გამოირჩა. გემახსოვრებათ, შარშან ბიორკმანმა ყველა გააოცა, როცა კარიერაში პირველად უწია უიმბლდონის ნახევარფინალს. წლეულს კი შვედმა თავი „როლან გაროსზე“ გამოიჩინა და ბლომად ოვაციებიც დაიმსახურა, როცა საწყის წრეებში ორჯერ ამოქაჩა ორსეტიანი ჩამორჩენა. მთლიანობაში, ბიორკმანმა მეოთხე წრემდე იარა (რაც მისი საუკეთესო მიღწევის გამეორებაა) და იქ კარლოს მოიასთან დამარცხდა.

რეიტინგში დღესდღეობით 39-ე საფეხურზე მდგომი ბიორკმანი მე-14 სეზონია, რაც საუკეთესო 75-ეულში რეგულარულად ხვდება. ყოველივე ამით თავად შვედიც კმაყოფილია:

„არცთუ იოლია ამ ყველაფერის მიღწევა. ჩემს ასაკში ადვილი როდია ამდენი მატჩის ჩატარება. როცა 25 წლის ხარ, მაშინაა იოლი კორტზე ყოველდღე 6 საათის გატარება. ჩემს ასაკში კი, როცა დილას ხანდახან წინდის ფეხზე წამოცმასაც ვერ ახერხებ, თავს უნდა მოუფრთხილდე“.

# მიურეის მაჯა

**ენდი მიურეის** სულ უფრო ნაკლები იმედი აქვს, რომ უიმბლდონამდე გამოჯანმთელებას მოასწრებს. ახალგაზრდა შოტლანდიელმა გუშინ გამოაცხადა, რომ მომავალ კვირას „ქვინს კლუბის“ ტურნირზე (ეს წლის ერთ-ერთი პირველი საბალახო ფორუმია), ვერ შეძლებს თამაშს.

შეგახსენებთ, რომ ენდიმ მაჯა რომის მასტერსზე დაიზიანა და ამის გამო „როლან გაროსის“ გამოტოვება მოუწია. ისეთი პირი უჩანს, რომ შოტლანდიელი ბრიტანულ სლემტურნირსაც ვერ ითამაშებს.

„მაჯა დღითი დღე კი უმჯობესდება, მაგრამ სრულ დატვირთამდე ჯერ კიდევ ბევრი მიკლია“.

ისე, მიურეიმ ტრავმა დროულად რომ მოიშუშოს, ის უიმბლდონს მაინც მოუმზადებელი შეხვდება — სათამაშო პრაქტიკის ნაკლებობა მის თამაშს უცილობლად დაღს დაასვავს.

# სალომემ გრძელი სახელი დაამარცხა

**18 წლის** ქართველმა ჩოგბურთელმა სალომე ჩახუნაშვილმა რუმინეთის ქალაქ პიტეშტის თიხნარზე ITF-ის ეგიდით მიმდინარე 10-ათასიანი შეჯიბრის საკვალიფიკაციო ბარიერის წარმატებით დაძლევის შემდეგ, ძირითადი ტურნირიც მოგებით დაიწყო და 6:4 6:3 დაამარცხა სამსახელიანი რუმინელი, რეიტინგის 1193-ე ადგილზე მყოფი ნიკოლეტა-ანა-მარია ბარა.

მეორე წრეში სალომეს მეტოქე კიდევ ერთი მასპინძელი, მე-6 ნომრად განთესილი და კლასიფიკაციაში 603-ე პოზიციაზე მყოფი ალექსანდრა კადანტუა, რომელმაც პირველ წრეში თავისივე თანამემამულე მადალინა ლუპუ 2:6 7:5 6:3 დაჯაბნა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჯერ ვინო, მერე ვალვერდე

**სეზონის** უმთავრესი რბოლის, „ტურ დე ფრანსის“ დაწყებამდე ერთი თვით ადრე ინგლისელმა ბუქმეიკერებმა ფსონები გამოაქვეყნეს და აღმოჩნდა, რომ მათი ფავორიტი ყაზახური „ასტანას“ ლიდერი, შარშანდელი „ვუელტა ესპანას“ გამარჯვებული ალექსანდრ ვინოკუროვია.

„ვინოს“ ჩემპიონობაზე კოეფიციენტი 1:3,25 არის. მეორე ადგილზე „პრო-ტურის“ სერიის შარშანდელი ჩემპიონი, „ვუელტას“ მეორე და მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი, ესპანელი ალეხანდრო ვალვერდეა. „კაისე დეპარგნის“ მრბოლის გამარჯვებაზე კოეფიციენტი 1:5 გახლავთ.

ამ ორი გამოკვეთილი ფავორიტის შემდეგ ამერიკელი ლევი ლეიფჰაიმერი და ესპანელი კარლოს სასტრე მოდიან 1:12 კოეფიციენტით. მერე რუსი დენის მენშოვი (1:16) მოდის, ვისაც უკან უკრაინელი იაროსლავ პოპოვი, ავსტრალიელი კადელ ევანსი (ორივეს 1:20) და იტალიელი დამიანო კუნეგო (1:25) მოჰყვებიან.

# დანიელებმა დი ლუკა იუარეს

**გუშინ** ვწერდით, დანიური ველოგუნდ CSC-ის შეფობა ახლახანს დასრულებული „ჯირო დიტალიას“ ჩემპიონ დანილო დი ლუკათი დაინტერესდა და იტალიელს 2 მილიონ ევროიან კონტრაქტს სთავაზობენო.

დღეს საწინააღმდეგოს თქმა გვიწევს — CSC-ის ხელმძღვანელობამ კატეგორიულად უარყო ინფორმაცია დი ლუკას მიმართ მათ მიერ გამოჩენილი ინტერესის შესახებ.

„ბელგიურ სპორტულ საიტებზე გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ჩვენ იტალიელს 2 მილიონი ევრო შევთავაზეთ, არ შეესაბამება სინამდვილეს — განაცხადა CSC-ის პრეს-მდივანმა ბრაიან ნიუგაარდმა და დაამატა — დი ლუკა არასოდეს ყოფილა იმ მრბოლთა სიაში, რომლებითაც ჩვენი გუნდი ოდესმე დაინტერესებულა“.



# მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

ელისტა. რუსეთი. 26 მაისი – 14 ივნისი. მეორე ეტაპი

I ტური

| | | |
|---|---|---|
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 1:0 | ალექსეი შიროვი (ესპანეთი) |
| პეტერ ლეკო (უნგრეთი) | 1:0 | ევგენი ბარეევი (რუსეთი) |
| ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი) | 1:0 | სერგეი რუბლევსკი (რუსეთი) |
| გატა კამსკი (აშშ) | 0,5:0,5 | ბორის გელფანდი (ისრაელი) |

# ელისტაში ტალი და კაპაბლანკა გამოჩნდნენ

**სამდღიანი** შესვენების შემდეგ ელისტაში პრეტენდენტთა ტურნირის მეორე ეტაპი დაიწყო.

ოთხი მატჩიდან მხოლოდ ერთი დასრულდა ყაიმით, დარჩენილ სამში კი თეთრებმა იმარჯვეს. გამოსარჩევია პეტერ ლეკოს მოგება, მან მასპინძელი ევგენი ბარეევი 34-ე სვლაზე დაამარცხა და სერიაში 1:0 დაწინაურდა.

უნგრელმა კლასიკური ე4-ით დაიწყო შეხვედრა, მესამე სვლაზე პაიკი გაუცვალა მეტოქეს და ხელმწიფის ფლანგზე მსუბუქი ფიგურები გამოუშვა. ბარეევი აქტიურად ჩაერთო თამაშში, მეომრები წინ გამოყარა და გაცვლებს მიმართა. რუსმა 34-ე სვლაზე ეტლებით შეუტია ლეკოს მეფეს, თუმცა ვერაფერი დააკლო და ქულა დაუთმო.

ტურნირის პარალელურად ელისტაში კომპიუტერთა მატჩიც მიმდინარეობს. ერთმანეთს Deep Junior და Deep Fritz ხვდებიან. ისინი, მოჭადრაკეების მსგავსად, ექვს პარტიას ითამაშებენ. პირველ შეხვედრაში Fritz თეთრი ფიგურებით გამოვიდა და მოწინააღმდეგეს 32-ე სვლაზე დაუზავდა. სპეციალისტებმა კომპიუტერთა თამაშის სტილი ძველი მოჭადრაკეებისას შეადარეს, Junior მიხაილ ტალის ტაქტიკით თამაშობსო, Fritz კი ხოსე რაულ კაპაბლანკასიო.

**ლაშა ბეგეჭკორი**



# გეორ-გიამ საქა-რთველოს აჯობა

**პლაჟის** ფრენბურთელთა ქართული წყვილი გეორ და გია წარმატებულ სეზონს განაგრძობს. ჩვენები ამჯერად ზაგრებში მსოფლიოს ეტაპზე თამაშობენ, რომლის საპრიზო ფონდი 200 ათასი დოლარია და გვარიანი სარეიტინგო ქულებიც ითვლება.

ჩვენები საკვალიფიკაციო ბადეში პირველ ნომრად განითესნენ და ნდობაც გაამართლეს. ჯერ ფინელებს — კანკაანეს და ჰაკალას, მერე კი ესპანელებს — ლარიოს და ლუნას, ერთნაირი ანგარიშით 2:0 მოუგეს. ამით გეორ და გიამ ძირითად ბადეში თამაშის უფლება მოიპოვეს.

ძირითად ბადეში ჩვენებმა პირველივე მატჩი 0:2 წააგეს ესპანელებთან ერერასთან და მესასთან. ამით ძირითად ბადეში ერთი წაგების უფლება გაანიავეს.

სანუგეშო წრეში გეორ და გიამ შვედებს, ბერგს და ბრინკბორგს, 2:1 მოუგეს და ზაგრებში ფრენბურთობას მეოთხედფინალში აგრძელებენ.

ვარშავაში კი ვერ ივარგა ჩვენმა ქალთა წყვილმა. საქა და რთველომ საკვალიფიკაციო ეტაპზე სადებიუტო მოგებას მარცხი მიაყოლეს და ძრითად ბადეში ვერ მოხვდნენ.

# სტენლის თასის ფინალი

# თასი სელიანესთვის

## ანაჰაიმმა ჰოკეი აავიტკვიტა



### ანაჰაიმი 4:1 ოტავა

**მეხუთე მატჩი**

**ანაჰაიმი 6:2 ოტავა**

*2:0 2:2 2:0*

1:0 მაკდონალდი (4, უმრ. გეცლაფი, პრონგერი), 2:0 რ. ნიდერმაიერი (18, პერი), 2:1 ალფრედსონი (32, შიფერი, ფიშერი), 3:1 მოენი (36, უასისტენტოდ), 3:2 ალფრედსონი (38, უმც. უასისტენტოდ), 4:2 ბუშენინი (39, უმრ. მაკდონალდი), 5:2 მოენი (45, ს. ნიდერმაიერი, პალსონი), 6:2 პერი (57, უასისტენტოდ)

ახლა რამდენიც უნდა ილაპარაკონ „ანაჰაიმის" მოძულეებმა, ანტიჰოკეის თამაშობენ, უხეშები არიან, ლიგას არცხვენენო და ასე შემდეგ, ფაქტი ჯიუტია — „იხვებმა" სტენლის თასი მოიგეს და ცოტა ხანში სულ არავის ემახსოვრება, თუ როგორ და რანაირი თამაშით მოახერხეს ეს. სამაგიეროდ, არავის დაავიწყდება ის, რომ „ანაჰაიმმა" სტენლის თასს კიდევ ერთი ახალი „სახლი" გამოუძებნა. კალიფორნიამ მხოლოდ მესამე ცდიდან დაისაკუთრა საკლუბო ჰოკეის უმაღლესი ჯილდო — ის, რაც 1993 წელს თვით დიადმა გრეცკიმ თავის „ლოს ანჯელესთან" და იმავე „ანაჰაიმმა" ოთხი წლის წინ ვერ შეძლეს, „იხვებმა" გუშინ აასრულეს.

სერიაში 3:1 დაწინაურების შემდეგ „ანაჰაიმმა" საქმე აღარ გააჯანჯლა — კალიფორნიულმა გუნდმა გუშინ უბრალოდ, გაიტანა „სენატორები". ამის მაგალითად ისიც კმარა, რომ ვითომდა მოგებაზე დაგეშილ „ოტავას" მასპინძლებმა მხოლოდ 13-ჯერ (!!!) დაარტყმევინეს კარის მიმართულებით და კანადელთა კაპიტანი დანიელ ალფრედსონი რომ არა, სტუმრები სულ მთლად შერცხვებოდნენ. შვედმა ლიდერმა ორი გოლი, რასაც ჰქვია, თავისით მოიგონა და გუნდს შანსიც ხონჩით უბოძა, მაგრამ სერიის მთლიანად ჩამგდები „ოტავა" გუშინაც უსუსური იყო.

კანადელებმა ამაზრზენად ითამაშეს. მათი დაცვა კი სულაც აბსურდის თეატრად იქცა, რომელმაც ისეთი ბავშვური შეცდომები დაუშვა, როგორსაც იუნიორთა ლიგებში ვერ შეხვდებით. მეორე პერიოდის მიწურულს მომხდარი სულაც ენით აუწერელი რამ იყო — ამ დროისთვის ანგარიში 3:2 გახლდათ და „ოტავას" თამაშის გადარჩენის რაღაც იმედი კიდევ შერჩენოდა, მაგრამ... მეკარე რეი ემერიმ შაიბა კარს უკან მცველ კრის ფილიპსს დაუტოვა, რომელმაც შავი დისკო კარისკენ გაბრუნებულ ემერის ფეხების დამცველ ამუნიციაში შეატანა და სანამ კიპერი აზრზე მოვიდოდა, შაიბას უკვე ხაზი გადაეკვეთა. ამ სისულელის შემდეგ სტუმრები საბოლოოდ გატყდნენ და ცუდს უარესი მოჰყვა — უაზრო ჯარიმები, ანტუან ვერმეტის გაცუდებული ბულიტი და ტრევის მოენისა და კორი პერის გოლები, რომლებმაც „სენატორების" კუბოში ბოლო ლურსმნები ჩააჭედეს.

„ანაჰაიმმა" დამსახურებულად მოიგო სტენლის თასი და ამაზე მოდავე კაცი ვერ გაიჭაჭანებს ჰოკეის მცოდნეთა შორის. მთელი სეზონის განმავლობაში დიდებულად მოთამაშე „იხვებმა" პლეი ოფიც ერთი ამოსუნთქვით გალიეს და „დეტროიტის" გარდა ყველას იოლად, 4:1 მოუგეს. ფინალში კი „მოვიგოთ თასი ტეემუ სელიანესთვის" დევიზით გასულმა კალიფორნიელებმა ჩანაფიქრი აისრულეს და ოცნება აუხდინეს 36 წლის ფინელ ვეტერანს, რომელმაც თავის 18-წლიან ნჰლ-ურ კარიერაში პირველად აღმართა სანუკვარი ჯილდო. ნამატჩევს ემოციებისგან ატირებული „ფინური ელვა" ამბობდა, ახლა ჰოკეიდან წასვლაზეც შემიძლია ვიფიქროო.

ბოლოს პლეი ოფის უძვირფასეს მოთამაშეზე მოგახსენებთ. კანდიდატები ბლომად იყვნენ, მაგრამ ბოლოს ალბათ მაინც სამართლიანი არჩევანი გაკეთდა — მვპ-სთვის განკუთვნილი „კონ სმაიტ ტროფი" კაპიტან სკოტ ნიდერმაიერს ნჰლ-ის კომისარმა გერი ბეიტმენმა პირადად გადასცა.

სკოტისთვის ეს მეოთხე სტენლის თასი კი გახლდათ, მაგრამ, სამაგიეროდ, მის უმცროს ძმა რობს ეს ბედნიერება პირველად ეღირსა. სხვათა შორის, ნჰლ-ის ისტორიაში მხოლოდ მეორედ მოხდა, როცა ძმებმა ერთ გუნდში მოიგეს სტენლის თასი — აქამდე იგივე „აილენდერსის" შემადგენლობაში 1983 წელს ბრენტ და დუეინ სატერებს გაეკეთებინათ.

**კახა ლომაშვილი**

### ანაჰაიმის საჩემპიონო გზა

**პირველი წრე**

ანაჰაიმი 4:1 მინესოტა

ანაჰაიმი 2:1 მინესოტა
ანაჰაიმი 3:2 მინესოტა
მინესოტა 1:2 ანაჰაიმი
მინესოტა 4:1 ანაჰაიმი
ანაჰაიმი 4:1 მინესოტა

**მეორე წრე**

ანაჰაიმი 4:1 ვანკუვერი

ანაჰაიმი 5:1 ვანკუვერი
ანაჰაიმი 1:2 ვანკუვერი
*(მე-2 ოვერტაიმში)*
ვანკუვერი 2:3 ანაჰაიმი
ვანკუვერი 2:3 ანაჰაიმი
*(ოვერტაიმში)*
ანაჰაიმი 2:1 ვანკუვერი
*(მე-2 ოვერტაიმში)*

**ნახევარფინალი**

დეტროიტი 2:4 ანაჰაიმი

დეტროიტი 2:1 ანაჰაიმი
დეტროიტი 3:4 ანაჰაიმი
*(ოვერტაიმში)*
ანაჰაიმი 0:5 დეტროიტი
ანაჰაიმი 5:3 დეტროიტი
დეტროიტი 1:2 ანაჰაიმი
(ოვერტაიმში)
ანაჰაიმი 4:3 დეტროიტი

**ფინალი**

ანაჰაიმი 4:1 ოტავა

ანაჰაიმი 3:2 ოტავა
ანაჰაიმი 1:0 ოტავა
ოტავა 5:3 ანაჰაიმი
ოტავა 2:3 ანაჰაიმი
ანაჰაიმი 6:2 ოტავა

### პლეი ოფის ბომბარდირები:

ჯეისონ სპეცა (ოტავა) 22 (7+15); დენი ჰიტლი (ოტავა) 22 (7+15); დანიელ ალფრედსონი (ოტავა) 22 (14+8); ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) 18 (4+14); რაიან გეცლაფი (ანაჰაიმი) 17 (7+10)

## პლეი ოფების ყველა MVP



სკოტ ნიდერმაიერი

| | |
|---|---|
| 1965 | ჟან ბელივო (მონრეალი) |
| 1966 | როჟერ კროზიე (დეტროიტი) |
| 1967 | დეივ კიონი (ტორონტო) |
| 1968 | გლენ ჰოლი (სენტ ლუისი) |
| 1969 | სერჟ სავარი (მონრეალი) |
| 1970 | ბობი ორი (ბოსტონი) |
| 1971 | კენ დრაიდენი (მონრეალი) |
| 1972 | ბობი ორი (ბოსტონი) |
| 1973 | ივ კურნუაიე (მონრეალი) |
| 1974 | ბერნი პარენტი (ფილადელფია) |
| 1975 | ბერნი პარენტი (ფილადელფია) |
| 1976 | რეჯი ლიჩი (ფილადელფია) |
| 1977 | გი ლეფლერი (მონრეალი) |
| 1978 | ლარი რობინსონი (მონრეალი) |
| 1979 | ბობ გეინი (მონრეალი) |
| 1980 | ბრაიან ტროტიე (აილენდერსი) |
| 1981 | ბაჩ გორინგი (აილენდერსი) |
| 1982 | მაიკ ბოსი (აილენდერსი) |
| 1983 | ბილ სმიტი (აილენდერსი) |
| 1984 | მარკ მესიე (ედმონტონი) |
| 1985 | უეინ გრეცკი (ედმონტონი) |
| 1986 | პატრიკ რუა (მონრეალი) |
| 1987 | რონ ჰექსტალი (ფილადელფია) |
| 1988 | უეინ გრეცკი (ედმონტონი) |
| 1989 | ელ მაკინისი (კალგარი) |
| 1990 | ბილ რენფორდი (ედმონტონი) |
| 1991 | მარიო ლემიე (პიტსბურგი) |
| 1992 | მარიო ლემიე (პიტსბურგი) |
| 1993 | პატრიკ რუა (მონრეალი) |
| 1994 | ბრაიან ლიჩი (რეინჯერსი) |
| 1995 | კლოდ ლემიე (ნიუ ჯერსი) |
| 1996 | ჯო საკიკი (კოლორადო) |
| 1997 | მაიკ ვერნონი (დეტროიტი) |
| 1998 | სტივ აიზერმანი (დეტროიტი) |
| 1999 | ჯო ნიუენდაიკი (დალასი) |
| 2000 | სკოტ სტივენსი (ნიუ ჯერსი) |
| 2001 | პატრიკ რუა (კოლორადო) |
| 2002 | ნიკლას ლიდსტრომი (დეტროიტი) |
| 2003 | ჟან-სებასტიან ჟიგერი (ანაჰაიმი) |
| 2004 | ბრედ რიჩარდსი (ტამპა) |
| 2005 | *სეზონი არ ჩატარებულა* |
| 2006 | კიმ უარდი (კაროლინა) |
| 2007 | სკოტ ნიდერმაიერი (ანაჰაიმი) |

## სტენლის თასის ყველა ფინალი 1941 წლიდან

| | |
|---|---|
| 1941 | ბოსტონი 4:0 დეტროიტი |
| 1942 | ტორონტო 4:3 დეტროიტი |
| 1943 | დეტროიტი 4:0 ბოსტონი |
| 1944 | მონრეალი 4:0 ჩიკაგო |
| 1945 | ტორონტო 4:3 დეტროიტი |
| 1946 | მონრეალი 4:1 ბოსტონი |
| 1947 | ტორონტო 4:2 მონრეალი |
| 1948 | ტორონტო 4:0 დეტროიტი |
| 1949 | ტორონტო 4:0 დეტროიტი |
| 1950 | დეტროიტი 4:3 რეინჯერსი |
| 1951 | ტორონტო 4:1 მონრეალი |
| 1952 | დეტროიტი 4:0 მონრეალი |
| 1953 | მონრეალი 4:1 ბოსტონი |
| 1954 | დეტროიტი 4:3 მონრეალი |
| 1955 | დეტროიტი 4:3 მონრეალი |
| 1956 | მონრეალი 4:1 დეტროიტი |
| 1957 | მონრეალი 4:1 ბოსტონი |
| 1958 | მონრეალი 4:2 ბოსტონი |
| 1959 | მონრეალი 4:1 ტორონტო |
| 1960 | მონრეალი 4:0 ტორონტო |
| 1961 | ჩიკაგო 4:2 დეტროიტი |
| 1962 | ტორონტო 4:2 ჩიკაგო |
| 1963 | ტორონტო 4:1 დეტროიტი |
| 1964 | ტორონტო 4:3 დეტროიტი |
| 1965 | მონრეალი 4:3 ჩიკაგო |
| 1966 | მონრეალი 4:2 დეტროიტი |
| 1967 | ტორონტო 4:2 მონრეალი |
| 1968 | მონრეალი 4:0 სენტ ლუისი |
| 1969 | მონრეალი 4:0 სენტ ლუისი |
| 1970 | ბოსტონი 4:0 სენტ ლუისი |
| 1971 | მონრეალი 4:3 ჩიკაგო |
| 1972 | ბოსტონი 4:2 რეინჯერსი |
| 1973 | მონრეალი 4:2 ჩიკაგო |
| 1974 | ფილადელფია 4:2 ბოსტონი |
| 1975 | ფილადელფია 4:2 ბუფალო |
| 1976 | მონრეალი 4:0 ფილადელფია |
| 1977 | მონრეალი 4:0 ბოსტონი |
| 1978 | მონრეალი 4:2 ბოსტონი |
| 1979 | მონრეალი 4:1 რეინჯერსი |
| 1980 | აილენდერსი 4:2 ფილადელფია |
| 1981 | აილენდერსი 4:1 მინესოტა |
| 1982 | აილენდერსი 4:0 ვანკუვერი |
| 1983 | აილენდერსი 4:0 ედმონტონი |
| 1984 | ედმონტონი 4:1 აილენდერსი |
| 1985 | ედმონტონი 4:1 ფილადელფია |
| 1986 | მონრეალი 4:1 კალგარი |
| 1987 | ედმონტონი 4:3 ფილადელფია |
| 1988 | ედმონტონი 4:0 ბოსტონი |
| 1989 | კალგარი 4:2 მონრეალი |
| 1990 | ედმონტონი 4:1 ბოსტონი |
| 1991 | პიტსბურგი 4:2 მინესოტა |
| 1992 | პიტსბურგი 4:0 ჩიკაგო |
| 1993 | მონრეალი 4:1 ლოს ანჯელესი |
| 1994 | რეინჯერსი 4:3 ვანკუვერი |
| 1995 | ნიუ ჯერსი 4:0 დეტროიტი |
| 1996 | კოლორადო 4:0 ფლორიდა |
| 1997 | დეტროიტი 4:0 ფილადელფია |
| 1998 | დეტროიტი 4:0 ვაშინგტონი |
| 1999 | დალასი 4:2 ბუფალო |
| 2000 | ნიუ ჯერსი 4:2 დალასი |
| 2001 | კოლორადო 4:3 ნიუ ჯერსი |
| 2002 | დეტროიტი 4:1 კაროლინა |
| 2003 | ნიუ ჯერსი 4:3 ანაჰაიმი |
| 2004 | ტამპა 4:3 კალგარი |
| 2005 | *სეზონი არ ჩატარებულა* |
| 2006 | კაროლინა 4:3 ედმონტონი |
| 2007 | ანაჰაიმი 4:1 ოტავა |

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ქორქოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ჯაშაკიძე
გიორგი კაკაბაძე, ლაშა ხოშტარია, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღუნაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვილი, ლია ბეხელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge